პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეხუთე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

დოლარი 1 ნოემბერს გერმანიაში ღირდა 143 მილიარდ მარკა.

საქსონიაში შესდგა სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომლის წინააღმდეგ ლანდტაგში (პარლამენტი) სასტიკად გაილაშქრეს კომუნისტებმა.

წითელ ტიურინგიის საზღვრებზე მოხდა შეტაკება მუშათა რაზმების და ფაშისტების შორის.

გამოირკვა, რომ ინგლისი არ სცნობს „დამოუკიდებელ" რეინის რესპუბლიკას.

ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა საბჭომ ოსმალეთის პრეზიდენტად აირჩია ქემალ-ფაშა.

№ 254 შაბათი, 3 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 500,000 მან. № 254

გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა ამით აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ ნოემბერში გაზ. „კომუნისტი"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში

შინ მიტანით	13.000.000 მან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	14.000.000 მან.
კოლექ. ხელის მოწ. მხოლოდ მუშებ.	10.000.000 მან.

ჟურნალ „ნიანგი"-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა ყველასათვის	2.000.000 მან.
ერთი ეგზემპლიარი	1.000.000 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს ხვედრი ფული თავის დროზე შემოიტანონ, ვინაიდან გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.

დღეს, 3 ნოემბერს, ს. წ. საღამოს 6 ს. აღმასკომის შენობაში მოწვეულია

აღმასკომის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგისა, როგორც ქ. ტფილისში აგრეთვე მის მაზრაში სახალხო განათლების საჭიროებებზე.
2. ტფილისის მაზრის რაიონებად დაყოფა.
3. საბჭოს გადარჩევა.
4. მიმდინარე საქმეები.

დასწრება აღმასკომის ყველა წევრთა და მათ კანდიდატთა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი. 718—1—1

ამიერ-კავკასიის ცაკ-თან არსებული სატრანსპორტო საშუალებათა აღმრიცხველი საგანგებო კომისია აცხადებს, რომ

კომისიის უკანასკნელი სხდომა

შესდგება ამა წლის 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე ამიერ-კავკასიის ცაკ-ის შენობაში (სასახლე, ოთახი № 5).

სხდომას უნდა დაესწრონ ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელნი თავიანთ მოსაზრებების წარმოსადგენათ.

აღნიშნული სხდომა უკანასკნელი იქნება, რომლის შემდეგ არავითარი განცხადება ან პროტესტი განხილული არ იქნება.

კომისიის თავმჯდომარე აბარბაკოვი. მდივანი ტრეივასი.

ილიუზიები გაიფანტება, ფაქტი დარჩება

სოციალ-დემოკრატიის „საქმიანობა'' რევოლიუციონურ გერმანიაში განკურნავს პროლეტარიატის ჩამორჩენილ ნაწილს იმ ილიუზიებისაგან, რომლებსაც ის ატარებს არა მარტო ამ პარტიის მემარცხენე, არამედ მემარჯვენე ფრაქციის მიმართაც.

როდესაც საქსონიაში, კომუნისტებმა, წინააღმდეგ თვით მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისა, მოწოდებით მიმართეს პროფკავშირების ადგილობრივ გაერთიანებას, გამოეცხადებიათ გაფიცვა, ამ კავშირების ცენტრმა განაცხადა, რომ პოლიტიკურ პარტიას არავითარი უფლება არა აქვს უკარნახოს პროფესიონალურ ორგანიზაციებს გადასდგან ასეთი ნაბიჯი. მაგრამ პრუსიაში, ბერლინში, რამოდენიმე მნიშვნელოვანი კავშირების ცენტრები მომხრე შეიქნენ საყოველთაო გაფიცვის იდეის. დღეს გამოდის პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანების ცენტრალური ორგანო და მიმართავს ადგილობრივ კავშირებს ბრძანებით, რომ პროფკავშირებს უფლება არა აქვთ თავზე აიღონ გაფიცვის ინიციატივა და ხაზგასმით აცხადებს, რომ მხოლოთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს ასეთი უფლებაო.

მკითხველი დაინტერესდება: გერმანიის პროფკავშირთა ცენტრი ხომ ისეთივე „მასალისგან" არის შეზავებული, როგორისგანაც საქსონიის განყოფილების ხელმძღვანელები არიან „ჩამოქნილი", რატომ დრეზდენში პოლიტიკურ პარტიას წაერთვა ის უფლება, რომელიც ბ. ლეიპარტმა (თავმჯდომარე სრ. გერმანიის პროფკავშირების ცენტრის) ბერლინში მიანიჭა ისევ პოლიტიკურ პარტიას. სად არის აქ პრინციპის ნასახიც კი? საქმე იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში ლაპარაკია პოლიტიკურ პარტიაზე —კომუნისტებზე, მეორეში კი— თუმცა იგივე პოლიტიკურ პარტიაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში უკვე **სოციალ-დემოკრატიაზე**, რომელზეც ლეიპარტმა კარგათ იცის, რომ ის მაინც წინააღმდეგია ასეთი გაფიცვის და მაშასადამე მის განცხადებას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ ექნება.

რა უნდა მოსთხოვოთ იმ „ხალხს'', რომელმაც ჩაიდინა ისეთი, მაგალითად, უმსგავსოება: როგორც ცნობილია, ბერლინის კერძოთ, სოციალ-დემოკრატიის უმცირესობას წარმოადგენენ მემარჯვენეები. დიდმა უმრავლესობამ მოითხოვა ,,ფორვერტსი''-ს რედაქციის შემადგენლობის გამოცვლა, რადგან ის გამტარებელი იყო და არის უკიდურესი მემარჯვე ხაზის. ცენტრალურ კომიტეტს, ვთქვათ, შეეძლო არ მიეღო ეს წინადადება იმ ფორმალური მოსაზრებით, რომ ბერლინის ორგანიზაცია კიდევ არ შეადგენს პარტიის უმრავლესობას, რომლის აზრი შეიძლება მხოლოთ პარტიულ ყრილობაზე გამოირკვეს (ასეთია ჩვეულებრივი ,,საბუთი'' მემარჯვენეების). მაგრამ თუ დასთანხმდებოდენ ამ წინადადების მიღებაზე, საჭირო იყო ის გაეტარებიათ ბოლომდე. ამის მაგიერ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო არაჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომელმაც უნდა გააკვირვოს, რასაკვირველია, მხოლოდ ისინი, ვინც არ იცნობს ამ პარტიის ბუნებას. მან გადაწყვიტა: გაზეთის დილის გამოცემის რედაქცია შესდგეს მემარჯვენეებისაგან, საღამოსი კი მემარცხენე ელემენტებისაგან. ხოლო „ფორვერტსი" არის სერიოზული პოლიტიკური გაზეთი, რომელსაც ძველი ტრადიციის გამო გამგონე მოეპოვება გერმანიაში, თუმცა ძალზე შეთხელებულია მისი მკითხველების რიგები პროლეტარიატში და მისი ტირაჟი საგრძნობლად დაცემულია უკანასკნელ ხანებში.

ასეთი დომხალით უმასპინძლდებიან მემარჯვენეები „საზოგადოებრივ აზრს", ასეთი არევ-დარევა შეაქვთ მათ მუშებში. ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. ეს არევ-დარევა **შეგნებულათ** შეაქვთ მათ პროლეტარიატში იმ დროს, როდესაც საჭიროა რკინის რიგების გაწყობა და საბრძოლველათ გამზადება პროლეტარიატის.

საბოტაჟი რევოლიუციონური ბრძოლის, ხელის შეშლა რევოლიუციის—ასეთია დანიშნულება სოციალ-დემოკრატიის და ის აღწევს მიზანს, ის მომავალშიაც მიაღწევს ასეთ მიზანს, სანამ ხელმძღვანელის როლს აკუთვნებს მას მუშათა კლასი ან მისი უმნიშვნელო ნაწილი.

მაგრამ სწორეთ სოციალ-დემოკრატიის ეს ღალატი მოსპობს ილიუზიებს მის შესახებ მუშათა კლასში. მის მიმდევრებს ხელში შერჩებათ მხოლოთ ფაქტი ამ პარტიის ღალატის პროლეტარიატისა და რევოლიუციის მიმართ.

დაჩქარება სათანადო შეგნების, შესისხლხორცება იმ ჭეშმარიტების, რომ სოც.-დემოკრატია ყიდის და ის მომავალშიაც გაყიდის კლასიურ ინტერესებს პროლეტარიატისას—ეს არის უმნიშვნელოვანესი ამოცანა კომპარტიისა დღევანდელ მომენტში. ეს არის შეიძლება ყველაზე უფრო დიდი ნაწილი იმ პროგრამის, რომელსაც დღესაც, სამოქალაქო ომის პროცესშიაც, თავზე ახვევს ჩვენ ძმურ პარტიას ამბების განვითარება გერმანიაში.

ხარჯების ეკონომიისათვის

რუს. მიწათმოქმედების სახ. კომისარმა ამხ. სმირნოვმა გასცა შემდეგი განკარგულება: „საერთო მძიმე ფინანსიური მდგომარეობის და ყველა არანაყოფიერი ხარჯების შეკვეცის აუცილებლობის გამო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ხარჯთ-აღრიცხვით გადებული ხაზვადებები მეტად მცირეა. ამიტომ წინადადებას გაძლევ ადმინისტრატიულ ფინანსიურ სამმართველოს ხმარებაში მყოფ მსუბუქი მანქანების რიცხვი დაიყვანოთ ორამდე, დანარჩენი კი გადასცეთ სახელმწიფო ფონდში".

რომ ახლანდელი მდგომარეობა გვიკარნახებს, რაც შეიძლება მეტი ეკონომია გავსწიოთ, ამას, როგორც სჩანს, ყველგან არ უწევენ ანგარიშს. იმ გარემოებას, რომ გასულ წლებთან შედარებით სახალხო მეურნეობა ახლა უკეთეს მდგომარეობაშია, შეცდომაში შეყავს ზოგიერთები და ფიქრობენ, რომ აღარ არის საჭირო ისეთი ,,სიძუნწე'', როგორც აქამდი და შესაძლებელია მეტი ხარჯების გაწევა. ეს დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს და ასეთი აზრის ამხანაგები უნდა გავაფრთხილოთ, რომ ხელგაშლილობისათვის ჯერ დრო არ მოსულა და აუცილებელია მკაცრი ეკონომია, ყოველივე კაპეიკის ანგარიშში მიღება. ამისკენ უნდა იქნეს მიმართული მთელი ჩვენი ყურადღება, ყველგან, საბჭოთა დაწესებულება იქნება ეს, ქარხანა, ტრესტი, თუ სამეურნეო და სავაჭრო ორგანო, უნდა ხარჯების გაწევა ხდებოდეს განსაზღვრულად. ყოველ დახარჯვას წინ უნდა უძღოდეს საქმის აწონ-დაწონა და ხარჯების გაღება უნდა ხდებოდეს მხოლოდ სახელმწიფო თვალსაზრისით აუცილებელ საჭიროებისათვის. ზედმეტი, არა სასარგებლო, არა აუცილებელი, პირადი ან უწყებრივი საჭიროებისათვის ხარჯების გაწევა უნდა ჩაითვალოს ბოროტ მოქმედებათ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების და რევოლიუციის წინაშე. ჯერ-ჯერობით უნდა განსაზღვრულ ფარგლებში დავეტიოთ, შევმოკლდეთ და უარი ვთქვათ ისეთ რამეებზე, რაც ახლა ძალიან აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს.

ავიღოთ მაგალითი ავტომობილების შესახებ. ავტომობილი არ შეიძლება ჩაითვალოს კომფორტათ. ის აუცილებელი საჭირო არის, როგორც სწრაფი გადასაზიდი და დროის ეკონომიის საშუალება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში მისმა ხმარებამ მიიღო არანორმალური ხასიათი. ავტომობილით სარგებლობენ არა მარტო სახელმწიფო საქმისათვის აუცილებელ და საჭირო შემთხვევებში. ხარჯები კი ავტომობილის შენახვისათვის აუარებელი მიდის. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევით (გაზეთ მოსკოვის „პრავდის" ცნობის მიხედვით) საშუალოდ დღეში ერთი ავტომობილის ხარჯი აღწევს 25 ოქროს მანეთამდე; რაც წელიწადში შეადგენს 7,500 ოქრ. მანეთს. ასეთ დიდ ხარჯს იძლევა მარტო ერთი ავტომობილის შენახვა, რამოდენიმესი-კი ერთად საგრძნობელ ციფრამდე ავა. მაგალითად ოცი მანქანის შენახვა წელიწადში დაჯდება 150,000 (ას ორმოცდა ათი ათასი) ოქრ. მანეთი. თუ არ ვცდები ძვირად შეხვდებით ჩვენ ტრესტებში ისეთებს, რომელსაც ძირითადი საწარმოვო თანხა ზევით მოყვანილი ციფრის ერთ მეათედს მაინც უდრიდეს.

ზევით მოყვანილი ანგარიშის შემდეგ დამეთანხმებით, რომ აუცილებელია ავტომობილების რიცხვის შემოკლება. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი სახელმწიფო ხარჯები შემცირდება რამოდენიმე ასი ათას ოქროს მანეთით. აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ გავაუქმოთ მთლად მსუბუქ ავტომობილების ტრანსპორტი და ჩქარა მიმოსვლის საშუალება მოვსპოთ დაწესებულებებს საქმისთვის აუცილებელ შემთხვევებში. ეს შეცდომა იქნებოდა. ავტომობილების რიცხვი უნდა შემოკლდეს მხოლოდ, და მიმოსვლის ეს საშუალება დატოვებული იქნას იქ, სადაც ის წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. ტფილისში, ჩემი ფიქრით, შეიძლება 50—60 პროც. მათი შემცირება. ასეთი ზომა უმტკივნეულოდ ჩაივლის სახელმწიფო საქმისთვის, ხოლო პირად სარგებლობას კი ძალიან ავნებს და კიდეც მოსპობს.

თუ მოსკოვში, როგორც წერილის სათაურში მოყვანილი ცნობიდან სჩანს, ამხ. სმირნოვმა მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში დატოვა ორი მანქანა ათიდან, ტფილისში შედარებით უფრო მეტათ შეიძლება მათი შემცირება, ვინაიდან ტფილისის და მოსკოვის სივრცე ერთი არ არის. ტფილისში შეიძლება ზოგიერთ დაწესებულების განკარგულებაში არა თუ დავტოვოთ ორი ან ერთი მანქანა, არამედ სულ ჩამოვართვათ. შეიძლებოდა აქ ჩამოთვლა, თუ რომელ დაწესებულებისათვის არ არის აუცილებლათ საჭირო მანქანა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის შესახებ გავჩუმდები. მოვიყვან მხოლოდ სანიმუშოდ ერთს: ბათომის საავადმყოფო კასას. ბათომის სივრცე ისეთია, რომ 10—15 წუთში თავისუფლად შეიძლება ფეხით გავლა ქალაქის თავიდან ბოლომდე. ავტომობილი ასეთ სივრცეზე ყველა დაწესებულებათათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. ადგილობრივ საავადმყოფო კასას კი საკუთარი ფორდი ჰყავს და ყოველ დღეს გაცხარებით ამუშავებს. (არ გეგონოთ, რომ კასა აწარმოებს საექიმო დახმარების სწრაფ მუშაობას და ამიტომ აქვს მას მანქანა. კასის ფუნქციაში ეს არ შედის).

ვკითხავთ, ვის მოვახმაროთ ან გადავცეთ გაუქმებული მანქანები. თუ ამხ. სმირნოვმა სახელმწიფო ფონდში გადასცა, ჩვენც შეგვიძლია ესევე ვქნათ. ან კიდევ უკეთესი იქნება, თუ მათ დაურიგებთ სამაზრო აღმასკომებს. სამაზრო აღმასკომების კავშირი თემებთან სუსტია სათანადო ტრანსპორტის უქონლობის გამო. ფოსტაც მივარდნილ ადგილებში დაგვიანებით მიდის და მთელი მაზრები ცენტრს მოწყვეტილი არიან მაშინ, როცა თბილისის ქუჩაზე ავტომობილის შიშით, შეიძლება ითქვას, კაცს ვერ გაუვლია. ავიღოთ და გადავცეთ სამაზრო აღმასკომებს. ამით ხელმძღვანელობა სათემოაღმასკომების მუშაობის სამაზრო აღმასკომების მხრივ გაძლიერდება. ჩვენთვის ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად საბჭოთა ხელისუფლების გაჯანსაღებას და განმტკიცებას. თბილისის დაწესებულებების ავტომობილების ნაწილი გავგზავნოთ მაზრებში, მაგრამ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ იქ ის მოხმარებული იქნას მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლების საქმეებისათვის და არა რომელიმე სხვა საჭიროებებისათვის.

ბოლოს უნდა ვთქვა, რომ სახელმწიფო ხარჯების ეკონომიაში მარტო ავტომობილებს კი არა აქვს მნიშვნელობა. ეს მხოლოდ წვეთია იმ ხშირათ მიზანშეუწონელი ხარჯების, რომელსაც ადგილი აქვს. ამ წერილში ნაჩვენებია მხოლოდ ერთ მათგანზე..

ტომელი.

ერთიანი ფრონტისაკენ

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი. 2 ნოემ. „საქსონიის სოციალ-დემოკრატები ამართლებენ თავის გამცემლობას იმით, რომ იმათ თავისი ტაქტიკით სურდათ ბოლო მოეღოთ სამხედრო დიქტატურისათვის. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას განზრახული აქვს წარუდგინოს შტრეზემანს რაღაც მოთხოვნილებანი და დაიმუქროს მას საიმპერიო მთავრობის შემადგენლობიდან გამოსვლით. ყველაფერი ეს ხდება მუშათა მასების მოტყუებისათვის, მათი ალტყინების მოდუნების და ბურჟუაზიულ წესწყობილების დაცვის მიზნით.

სოციალ-დემოკრატიაზე იმედებს ვერ დავამყარებთ, მაგრამ საკითხი ეხება ბრძოლას მუშათა მასებში გავლენის მოპოვებისათვის. მასების გამოფხიზლება ჩქარის ტემპით ხდება. მთელი რიგი სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციებისა მხარს უჭერს საყოველთაო გაფიცვას. ამ განცხადებებში იგივე მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული თვალთმაქცობაა. საინტერესოა არა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების სულიერი განწყობილება და არც პასუხისმგებელ მუშაკთა სულისკვეთება, არამედ იმ მასების სულიერი განწყობილება, რომელთა ზეგავლენით მემარცხენეები იძულებული არიან სწერონ დეკლარაციები.

აღსანიშნავია, რომ მოძრაობა ერთიანი ფრონტის შესადგენად, სოციალ-დემოკრატიულ და პროფკავშირთა მაღალი ფენების სურვილის წინააღმდეგ ვითარდება სრულიად გერმანიის მასშტაბით. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მასების ინერცია უფრო ძლიერია, და მასები თავისუფლდებიან ბელადების გავლენისაგან. გერმანიის პროლეტარიატის მოძრაობა დიდ ნაბიჯს სდგამს წინ. კომუნისტები ფართო მასების თვალში არიან ერთად-ერთი პარტია, რომელიც ღირსია ნდობის და რომელსაც აქვს უნარი ხელმძღვანელობა გაუწიოს განმანთავისუფლებელ მოძრაობას. გერმანიის პროლეტარიატის მახლობელ გამოსვლების დროს მისი ხელები გახსნილი იქნებიან მოქმედებისათვის.

ეს არის უდიდესი მონაპოვარი უკანასკნელი მღელვარე დღეების".

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა"-ს ცნობები).

რა ხდება საქსონიაში: საქსონიაში შესდგა სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომლის წინააღმდეგ ლანდტაგში (პარლამენტი) სასტიკად გაილაშქრეს კომუნისტებმა.

მთავრობის „ზომები": 1 ნოემბერს გერმანიაში დოლლარი ღირდა 143 მილიარდი მარკა: 27 ოქტომბრისათვის გერმანიაში გამოშვებულია 2 კვინტალიონი და 642 კვადრალიონი ქაღალდის მარკა.

საქსონიაში მყოფი იმპერიის კომისარი გადადგა თანამდებობიდან.

შავი ძალები: აღმოსავლეთ პრუსიაში დაარსდა ფაშისტური სამი ახალი ორგანიზაცია.

ვიურტემბერგში ნაციონალისტების ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ ფაშისტური დიქტატურის გამოცხადებას და კომუნისტების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის დაწყებას.

საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში: მუშათა ფართე მასები მოითხოვენ დაუყოვნებლივ საერთო გაფიცვის გამოცხადებას.

საერთო გაფიცვის მოთხოვნილების ტალღა მოედო მთელ გერმანიას.

წითელ ტიურინგიის დასაცავად: მუშათა რაზმებს და ფაშისტებს შორის ტიურინგიის საზღვრებზე მოხდა პირველი შეტაკება.

რა ხდება საქსონიაში

საქსონიის ლანდტაგის მღელვარე სხდომა.

დრეზდენი. 31 ოქტომბერი. ორშაბათს შესდგა საქსონიის ლანდტაგის ხანგრძლივი სხდომა, რომელმაც მიიღო მეტად მღელვარე ხასიათი.

ცეიგნერის (მემარცხენე ესდეკი) წერილის გამოქვეყნებამ მისი გადადგომის შესახებ გამოიწვია გაცხარებული კამათი კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის. კომუნისტმა ბეტხერმა განაცხადა, რომ კანონიერი პრემიერის გადაყენებაზე დათანხმებით სოციალ-დემოკრატებმა დაამტკიცეს, რომ მათთვის კონსტიტუცია არის მხოლოდ ქაღალდის ნაფლეთი. ბეტხერმა ამასთან ერთად სთქვა: „ცეიგნერმა, რომელმაც დასტოვა თანამდებობა და დაემორჩილა ბერლინის პარტიულ სპეკულიანტებს, ვერ გაამართლა მუშათა მასების ნდობა, თვითვე გამოიტანა თავის თავზე და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიაზე სასიკვდილო განაჩენი." შემდეგ ბეტხერმა აღნიშნა, რომ 29 ოქტომბრის ამბები წარმოადგენენ სახელმწიფო გადატრიალებას. „ახალი მთავრობა, განაცხადა ბეტხერმა, ეს არის ნიღაბი სამხედრო დიქტატურის დასაფარავად. კომუნისტები უარს ამბობენ, ამ უსირცხვილო თამაშში მონაწილეობაზე''. ბეტხერმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატების დიდი ნაწილი მიმართავდა კომუნისტებს დახმარებისათვის მემარჯვენე ფრთის საწინააღმდეგოთ.

ბეტხერის შემდეგ სიტყვა აიღო ვირტმა, რომელმაც დიდხანს ვერ მოახერხა სიტყვის დაწყება კომუნისტების სკამებზე ატეხილი ხმაურობის გამო.

ფელიშის კაბინეტის შემადგენლობა.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. ფელიშმა შეადგინა ახალი კაბინეტი სოციალ-დემოკრატებისაგან. კაბინეტის შემადგენლობა შემდეგია: ლიპინსკი—შინაგან საქმეთა მინისტრი, ნეი—იუსტიციის მინისტრი, კრეტცგი—შრომის მინისტრი, ფლეისნერი განათლების მინისტრი, გელდი—ფინანსთა მინისტრი. მიიღებს თუ არა კაბინეტი ხმათა უმრავლესობას ლანდტაგში, ჯერ გამორკვეული არ არის.

ფელიშის გეგმა.

დრეზდენი. 31 ოქტომბერი. „როსტა"-ს თანამშრომელთან საუბარში საქსონიის ახალმა პრემიერმა ფელიშმა განაცხადა, რომ თავისი უდიდეს ამოცანათ იგი სთვლის სამხედრო დიქტატურის ლიკვიდაციას საქსონიაში. ფელიშმა აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატები, სამხედრო დიქტატურის ლიკვიდაციის მიზნით, იძულებული იყვნენ შექმნათ სოციალ დემოკრატიული მთავრობა მიუხედავათ იმისა, რომ ეს ცდა მეტისმეტად ძნელი შესასრულებელია. დასასრულს, ახალმა პრემიერმა იმედი გამოსთქვა, რომ „უფლებრივ" მთავრობის შექმნის შემდეგ საიმპერიო კომისარი ჰეინცე გაწვეული იქნება საქსონიიდან.

მოითხოვენ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. ეიზენახში სოციალ-დემოკრატების და კომუნისტების წარმომადგენელთა კომიტეტი მოითხოვს სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებიდან საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას.

იენის სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ საყოველთაო გაფიცვას.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. გოტში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები მოითხოვენ სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებიდან საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას. ამას მოითხოვს იენის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციაც.

პროვინციიდან ჩამოსული დელეგატები მოითხოვენ საყოველთაო გაფიცვას.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. ბერლინში ჩამოდის პროვინციებიდან მრავალი დელეგატი, რომლებიც მოითხოვენ სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებიდან საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებას.

მუშათა მასების ზეგავლენით.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. მუშათა მასების ზეგავლენით პარასკევს მოწვეულ იქნება პარტიების, პროფკავშირების და ფაბრიკა-ქარხნების მუშების კონფერენცია შექმნილი მდგომარეობის განსახილველად. მოხსენებით გამოვა მემარცხენე სოციალ-დემოკრატი აუფჰეიზერი.

სოციალ-დემოკრატ მუშებს ემჩნევათ მღელვარება. მუშათა მასები მოითხოვენ ერთიან ფრონტს. „ფორვერტს"-ი ეწინააღმდეგება ერთიან ფრონტს და განაგრძობს გალაშქრებას კომუნისტების წინააღმდეგ.

მასები თავიანთ ბელადების წინააღმდეგ.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. აღმოსავლეთ-პრუსიის კომუნისტური ორგანიზაციის წინადადებას ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ სოციალ-დემოკრატებმა უარით უპასუხეს. ამავე დროს კენიქსბერგის პროფკავშირთა გამგეობების კრება მოითხოვს ერთიან პროლეტარულ ფრონტის შექმნას საყოველთაო გაფიცვის ჩატარების მიზნით.

ფაშისტური ბავარიის გარშემო

„ფორვერტსმა" გამბედაობა მოიკრიბა.

ბერლინი. 31 ოქტ. „ფორვერტსი" იმედ გაცრუებულია ბავარიის მთავრობის ოფიციალური ცნობით საიმპერიო მთავრობასთან მომხდარ განხეთქილების შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ ბერლინში მყოფ ბავარიის ელჩს პრეგერს მინდობილი აქვს მოლაპარაკების წარმოება დროის მოგების მიზნით, იმ იმედით, რომ დადგება მთავრობის ახალი კრიზისი. „ფორვერტსი" ხაზს უსვამს, რომ საიმპერიო მთავრობა მხოლოდ მაშინ მოიპოვებს მუშათა მასების ნდობას, როცა ენერგიულად გაილაშქრებს ბავარიის წინააღმდეგ, მოუსპობს კრედიტებს რეიხსვერის იმ ნაწილებს, პოლიციას და მოხელეებს, რომელთაც უარი განაცხადეს საიმპერიო სარდლობისადმი მორჩილებაზე, შესწყვეტს რკინისგზით მიმოსვლას და საფოსტო-სატელეგრაფო კავშირს ბავარიასთან და საჭიროების დამიხედვით შეიარაღებული ძალებით გამოვა ბავარიის წინააღმდეგ. გაზეთი დაჟინებით მოითხოვს აგრეთვე საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციების მიერ ბავარიისათვის ბოიკოტის გამოცხადებას, ისეთსავე ბოიკოტის, როგორიც ერთ დროს გამოცხადებული ჰქონდა ჰუნგრეთის დიქტატორს ხორტის.

შავი ძალები

პოგრომული აგიტაცია ეიდკუნენში.

ბერლინი. 31 ოქტ. ეიდკუნენში სწარმოებს პოგრომული აგიტაცია. პოლიციამ უარი განაცხადა ფაშისტების წინააღმდეგ გამოსვლაზე.

ფაშისტური ორგანიზაციები აღმოსავლეთ პრუსიაში.

ბერლინი. 31 ოქტ. აღმოსავლეთ პრუსიაში მოწყობილია 3 ფაშისტური ორგანიზაცია „ახალი პრუსიის", „ძველი პრუსიის" და „სანაპირო პრუსიის" სახელწოდებით. ყველა სამივე ორგანიზაცია შეიარაღებულია და რეგულიარულად სწარმოებს სამხედრო ვარჯიშობა.

ვიურტემბერგის ფაშისტების მოთხოვნილება.

ბერლინი. 31 ოქტ. ვიურტემბერგში და შტუტგარტში ნაციონალისტების კრებებმა მიიღეს რეზოლიუციები, რომლებშიაც ისინი მოითხოვენ საიმპერიო მთავრობის გადადგომას, თუ უკანასკნელი არ შეასრულებს შემდეგ მოთხოვნილებებს: ფაშისტურ დიქტატურის დამყარება, სასტიკი ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ, სპეკულიანტების სიკვდილით დასჯა, ბირჟის დახურვა, ფაშისტურ ორგანიზაციების თავისუფალი მოქმედების ნებადართვა.

წითელ ტიურინგიის საზღვრებზე

პირველი შეტაკება.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. ჰოფის მიდამოებში პირველი შეტაკება მოხდა ფაშისტებსა და მუშებს შორის. დაჭრილია 6 ფაშისტი. ჰილდბურგის ოლქში ფაშისტებმა გადალახეს ტიურინგიის საზღვარი და სროლა აუტეხეს ტიურინგიის სანაპირო პოლიციის პატრულებს.

ფაშისტების კონფერენცია გრძელდება.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. ჰიტლერის ფაშისტურ რაზმების კონცენტრაცია ტიურინგიის წინააღმდეგ გრძელდება. ჰიტლერის ჯარის მთავარი შტაბი და მისი მთავარსარდალი ერხარდტი კობურგში იმყოფება. რაზმები შეიარაღებულია ტყვიისმფრქვეველებით, არტილერიით ჰაეროპლანებით და ყოველდღე ვარჯიშობენ სროლაში. ფაშისტებთან დაბანაკებულია, აგრეთვე, ჯავშნოსნებით შეიარაღებული ბავარიის რეიხსვერი.

ფაშისტურ ძალთა კონცენტრაცია ტიურინგიის საზღვარზე.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. ფაშისტურ რაზმების საომარი მზადება სწარმოებს ტიურინგიის საზღვარზე, სადაც იმართება სავარჯიშო სროლა. საზღვართან შეკრებილია დიდძალი კავალერია და არტილერია. ოფიციალური ცნობებით დამოწმებულია აგრეთვე ტიურინგიის საზღვარზე ბავარიის რეიხსვერის ორი პოლკის კონცენტრაციის ფაქტი.

სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ

მშრომელი ახალგაზრდობა ჰკიცხავს ესდეკების მოქმედებას.

ბერლინი, 31 ოქტომბერი. საქსონიის კომუნისტური და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის გაერთიანება სასტიკად ჰკიცხავს სოციალ-დემოკრატების მოქმედებას.

საქსონიის ამბების გამოძახილი.

ვენა. 31 ოქტომბერი. ვენის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „არბაიტერ ცეიტუნგ"-ი სასტიკად ილაშქრებს გერმანიის სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ისინი ხელს უწყობენ შტრეზემანს თავდასხმას საქსონიის პროლეტარიატის მონაპოვარზე.

წითელ ტიურინგიის დასაცავად

ტიურინგიის სოციალ-დემოკრატები მუშათა მთავრობას იცავენ.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. სოციალ-დემოკრატიის ტიურინგიის ორგანიზაციის საოლქო კონფერენციამ დაადგინა მხარი დაუჭიროს ტიურინგიის მუშათა მთავრობას. კონფერენციამ პროტესტი განაცხადა შტრეზემანის პოლიტიკის წინააღმდეგ, დაგმო სოც.-დემ. პარტიის ც. კ-ის პოზიცია და მოითხოვა აგრეთვე სოციალ-დემოკრატების გამოსვლა საიმპერიო მთავრობიდან.

კომუნისტები მოუწოდებენ მასებს ტიურინგიის დაცვისაკენ.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. ტიურინგიის ლანდტაგის კონფერენციამ განაცხადა, რომ საქსონიისა და ტიურინგიის ტერიტორიის არც ერთი მტკაველი არ უნდა დაუთმოს ბავარიის რეიხსვერს და ბავარიელ ფაშისტებს უბრძოლველად. კომფრაქცია მოუწოდებს სოციალ-დემოკრატებს და, აგრეთვე, პროფკავშირებს ფაშისტების წინააღმდეგ საერთო თავდაცვის ორგანიზაციისაკენ.

საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში

მოძრაობა ერთიანი ფრონტისათვის მთელს ქვეყანას ედება.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. მთელს გერმანიაში ძლიერდება მოძრაობა ერთიანი ფრონტის შექმნისათვის, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების და პროფკავშირთა ლიდერების სურვილისა.

მთავრობის „ზომები"

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის შემცირება.

ბერლინი. 2 ნოემბერი. 1 ნოემბრიდან ძალიან შემცირდება გერმანიაში სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა.

მარკის კურსი განაგრძობს დაცემას.

ბერლინი. 2 ნოემბერი. გუშინ ნიუ-იორკის ბაზარზე დოლარი ფასობდა 148 მილიარდი მარკა.

რა მიზნით იქნება გამოყენებული შტრეზემანის „ავადმყოფობა".

ბერლინი. 2 ნოემბერი. როგორც სჩანს შტრეზემანის კაბინეტის კრიზისი ხანგრძლივი იქნება, მიუხედავად სოციალ-დემოკრატების მუქარისა, რომ ისინი გავლენ კოალიციონურ მთავრობის შემადგენლობიდან. შტრეზემანის ავადმყოფობა და რურში შექმნილი მდგომარეობა გამოყენებული იქნება სოციალ-დემოკრატების ულტიმატუმზე მთავრობის პასუხის დაგვიანების საბაბად. შესაძლებელია, რომ სოციალ-დემოკრატების გასვლის საკითხი, დღესვე იქნას გადაჭრილი და ისინი გავლენ კაბინეტიდან. მაგრამ მაინც რჩება შანსები სოციალ-დემოკრატებისათვის პასუხის გადადებისა და მოლაპარაკების განგრძობისთვის. შტრეზემანი, ალბად, ანგარიშს გაუწევს სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილებას, რადგან მათი ულტიმატუმის მთავარ მუხლებს სამხედრო წესების გაუქმების შესახებ, მხარს უჭერენ მთავრობის 2 სხვა პარტიაც—დემოკრატები და ცენტრი.

ქაღალდის ფულის წვიმა.

პარიზი. 2 ნოემბ. ბერლინიდან მიღებულ ცნობების თანახმად 27 ოქტომბრისათვის ემისია უდრიდა 2 კვინტალიონ 642 კვადრალიონ მარკას.

შტრეზემანის უეცარი „ავადმყოფობა".

ბერლინი. 31 ოქტომ. დღეისათვის დანიშნული მთავრობის სხდომა, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო რურის საკითხი და აგრეთვე სოციალ-დემოკრატების მოთხოვნილებანი, გადაიდო შტრეზემანის უეცარი ავადმყოფობის გამო. გადაიდო აგრეთვე სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სხდომა.

კომუნისტების დაპატიმრება აღმოსავლეთ პრუსიაში.

ბერლინი. 31 ოქტ. აღმოსავლეთ პრუსიაში დაპატიმრებულია 60 კომუნისტი—პარტიულ კომიტეტების მუშაკები.

კომუნისტური გაზეთების დახურვა.

ბერლინი. 31 ოქტ. აღმოსავლეთ პრუსიაში აკრძალულია ყველა კომუნისტური გაზეთები.

შტრეზემანის სასამართლო ამართლებს ფაშისტებს.

ბერლინი. 31 ოქტ. საგანგებო სასამართლომ ქედბესში გაამართლა კიუსტერინში მომხდარ ფაშისტურ აჯანყების მონაწილეები.

უმუშევრობა იზრდება.

ბერლინი. 31 ოქტ. უმუშევრობა ბერლინში იზრდება. ოფიციალურ ცნობების თანახმად ბერლინში ითვლება 200,000 უმუშევარი და 100 ათასი მომუშავე რამდენიმე საათით კვირაში. ნამდვილად კი ბერლინში უმუშევართა რიცხვი 800,000 კაცს უდრის, ხოლო მთელს გერმანიაში— 8 მილიონი უმუშევარია და 5 მილ. მომუშავე შემცირებულ სამუშაო დღის განმავლობაში.

ჰეინცეს გადადგომა.

პარიზი. 2 ნოემბ. საიმპერიო კომისარმა საქსონიაში ჰეინცემ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ.

„დამოუკიდებელ" რეინის რესპუბლიკაში

ინგლისი არ სცნობს რეინის რესპუბლიკას.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ინგლისის მთავრობამ განუცხადა საფრანგეთის და ბელგიის მთავრობებს, რომ ის არა სცნობს რეინის რესპუბლიკას და არ დაუშვებს ინგლისის საოკუპაციო ზონაში სეპარატისტულ მოძრაობას.

რეინის მთავრობის მოწოდება.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. რეინის სეპარატისტული დროებითი მთავრობა გამოშვებულ მოწოდებაში მთელ პასუხისმგებლობას მსოფლიო ომისათვის აკისრებს პრუსიას და აცხადებს, რომ ის მზად არის გადაიხადოს კონტრიბუცია. მეორე მოწოდებაში მთავრობა გარკვევით უსვამს ხაზს სეპარატისტულ მოძრაობის ფაშისტურ ხასიათს და აღნიშნავს, რომ უკანასკნელმა იხსნა რეინის ოლქი „მემარცხენე" რევოლუციისაგან. მოწოდებაში ნათქვამია, რომ მღელვარების გამომწვევნი დახვრეტილნი იქნებიან, პოლიტიკური გაფიცვები აკრძალულია, ხოლო ეკონომიური გაფიცვები დასაშვებია, იმ პირობით, თუ მათ ექნებათ წერილობითი ნებართვა.

სოციალ-დემოკრატები დახმარებას უწევენ ფაშისტებს.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. რეინის კომუნისტებმა წინადადება მისცეს სოციალ-დემოკრატებს და პროფკავშირებს ერთად მოაწყონ მოქმედების კომიტეტები სეპარატისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. სოციალ-დემოკრატები და პროფკავშირები საბოტაჟს უცხადებენ კომუნისტების წინადადებებს და როგორც სჩანს, იხრებიან სეპარატისტულ მთავრობის ცნობისაკენ. რეინის ოლქის კომისარი მოლაპარაკებას აწარმოებდა სოციალ-დემოკრატების ცენტრის წინამძღოლებთან, რომელნიც დაკმაყოფილდენ პლატონიური პროტესტით გერმანიისაგან რეინის ოლქის ჩამოშორების წინააღმდეგ.

საველე სასამართლოს შემოღება.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. რეინის ოლქში შემოღებულია საველე სასამართლო და აგრეთვე სასტიკი ცენზურა.

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

შეთანხმება მუშაობის განახლების შესახებ.

პარიზი 31 ოქტომბერი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ კრუპპის ფირმასა და მოკავშირეთა კომისიის შორის მიღებულია შეთანხმება კრუპპის ქარხნებში მუშაობის განახლების შესახებ. კრუპპი კისრულობს რეპარაციების ანგარიშზე ნახშირის გადასახადის შეტანას თავისი პროდუქციის 20 პროც. სახით. იუწყებიან აგრეთვე, რომ ასეთივე ხელშეკრულება დადებული იქნება სტინესთანაც.

პარიზის ნაციონალისტური პრესა ამ შეთანხმებებს სთვლის პუანკარეს გამარჯვებათ და იმედს გამოსთქვამს, რომ შეთანხმებები კრუპპთან, სტინესთან და ვოლფთან საშუალებას მისცემს საფრანგეთს მიიღოს რურის მთელი პროდუქციის 90 პროც.

კომუნისტური პრესა ამ შეთანხმებებს სთვლის გერმანიის მრეწველთა დამარცხებათ და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამ დამარცხების საბოლოვო ტვირთი გერმანიის მუშებზე იქნება გადატანილი.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ამერიკის პრესა ებერტის და შტრეზემანის კაბინეტის შესახებ

ბერლინი 2 ნოემბერი. ამერიკის გაზეთები, იხილავენ რა გერმანიის შინაურ მდგომარეობას, აღნიშნავენ, რომ თუ ამერიკის საზოგადოებრივ აზრისათვის გაუგებარია საქსონიის კომუნისტ-მინისტრების მრავალი ღონისძიება, სამაგიეროთ მისთვის სავსებით გასაგებია სოციალ-დემოკრატ ებერტის მეტად ორიგინალური მოქმედება.

ებერტი, რომელიც სიტყვით ქებათა-ქებას ასხამდა ინტერნაციონალურ რევოლუციონურ სოციალიზმს და თავის თავს უწოდებდა „ბურჟუაზიული საზოგადოების შეურიგებელ მტერს", დღეს, პრეზიდენტათ გახდომის შემდეგ, ღვრის ნაციონალური პატრიოტიზმის ცრემლს და, იბრძვის რა სიტყვით მშვიდობიანობისა და თავისუფლებისათვის, ამავე დროს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში აპრობებს ყველა იმას, რაც კი შესაძლებელია საგანგებო კანონების და დრაკონის დეკრეტების გამოცემის სფეროში.

სამხედრო დიქტატურამ გერმანიის პროლეტარული მასები მიიყვანა უსაშინელეს სიმშილობამდე.

თავდაცვის მინისტრი ჰესლერი, რომელიც სოციალ-დემოკრატ ებერტთან და კანცლერ შტრეზემანთან ერთად პასუხისმგებელია საქსონიის საკითხში სკანდალური მოქმედებისათვის, რამოდენიმე თვის წინეთ სურათს იღებს ჰინდენბურგთან და პრინც ეიტელ ფრიდრიხთან პოტსდამის ოფიცრობის სტუმრის სახით. საქსონიის მთავრობის გარეკვასთან ერთად, ბავარიაში დიქტატორი კარი აშკარა წინააღმდეგობას უწევს საიმპერიო მთავრობას, აშკარათ არღვევს საიმპერიო კონსტიტუციას, ხოლო მონარქიული გენერალი ლოსოვი და ბავარიის რეიხსვერი აშკარათ უჯანყდებიან ცენტრალურ მთავრობას და ყველაფერი ეს არ იდევნება.

ბავარია გახდა არა მარტო თავშესაფერი ყველა მონარქიულ ბოროტმოქმედთათვის, არამედ აგრეთვე ადგილი ყველა იმ არალეგალურ ჯარების შედგენისათვის, რომლებიც არტილერიით, ავიო-რაზმებით და სხვა სამხედრო მოწყობილობით თავს იყრიან უკვე ორი კვირის განმავლობაში ტიურინგიის და საქსონიის საზღვრებზე.

სახელმწიფო ღალატისათვის დაპატიმრებული, მაგრამ შემდეგ ციხიდან გაქცეული კაპიტანი ერხარდტი თამამად დასეირნობს თავისივე შტაბით ბავარიის ქალაქებში, ითვლება ფაშისტური არმიის ერთ-ერთ ხელმძღვანელათ. ფაშისტების სათავეში, ლუდენდორფს გარდა სდგას აგრეთვე ციხიდან განთავისუფლებული ლეიტენანტი როსბახი.

შტრეზემანის მთავრობის პრესტიჟი დაცემულია. მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლება სამხედრო პირების ხელშია. მუშათა მასები სიმშილით იხოცებიან. გერმანიას კარებზე ადგება სამხედრო რეაქცია.

ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც თანახმა არიან მიიღონ მონაწილეობა ექსპერტთა კონფერენციაზე, არ სჯერათ, რომ ისინი შესძლებენ დიდი ხნით განაგრძონ შტრეზემანის უმწეო მთავრობის დამლუპველი არსებობა.

ამ მთავრობის ჩამოგდება შეიძლება ყოველ დროს, და თუ ამას მოჰყვება ადამიანთა მსხვერპლი, დარჩენილებს შეეძლებათ თავი ინუგეშონ თუნდაც იმით, რომ ეხლანდელზე უარესი მთავრობა მომავალში არ იქნება.

პოლონეთის ამბები

ხარჯების შემცირება.

ვარშავა. 31 ოქტომბერი. ფინანსთა მინისტრმა კუხარსკიმ სეიმში შეიტანა 1924 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც გულისხმობს ხარჯების შემცირებას შრომისა, სოციალურ უზრუნველყოფისა, განათლებისა და ჯანმრთელობის სამინისტროებში. სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტიც შემცირებულია თითქმის 60 პროცენტით.

კუხარსკის სიტყვების თანახმად, პოლონეთი მომავალ წელში აღარ გადაიხდის უკვე ვალების პროცენტებს და მიმართავს საზღვარგარეთელ კრედიტორებს შუამდგომლობით, რათა გაგრძელებულ იქნეს პროცენტების გადახდის ვადა.

პოლონეთის ფინანსების ცუდ მდგომარეობისა და მემარცხენეების თავდასხმის შიშის გამო, სეიმის უმრავლესობამ მოახერხა ბიუჯეტის გარშემო წარმოებულ კამათის შეწყვეტა.

სამხედრო სამინისტროს კრედიტების მოსალოდნელ შემცირების გამო, სამხედრო მინისტრი შეპტიცკი გადადგა.

რკინისგზელების გაფიცვა გრძელდება.

ვარშავა. 31 ოქტომბერი. მიუხედავათ მთავრობის ღონისძიებებისა, რკინისგზელების გაფიცვა გრძელდება. მოძრაობაშია მხოლოდ რამოდენიმე სამგზავრო მატარებლები, რომლებზედაც მუშაობენ სამხედრო სამსახურში გაწვეული რკინისგზელები და სამხედრო ბრიგადები. ვარშავაში მრავალრიცხოვან მიტინგებზე რკინისგზელებმა დაადგინეს განაგრძონ გაფიცვა სრულ გამარჯვებამდი.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა აღმაშფოთებელი შეურაცხყოფა პოლონეთში

მოსკოვი. 2 ნოემბ. პოლონეთიდან დაბრუნებული ს. ს. რ. კავშირის მოქალაქენი მოგვითხრობენ აღმაშფოთებელი შეურაცხყოფების შესახებ, რომლებსაც ისინი განიცდიდენ პოლონეთის ხელისუფლებისაგან. ეს შეურაცხყოფა-დაცინვა იწყება საზღვარზე გადასვლის მომენტიდან. მოსკოვში პოლონეთის მისიის მიერ საზღვარ-გარეთის პასპორტებზე აღნიშნულ ვიზების მიუხედავათ, პოლონეთში მიმავალ მოქალაქეებს ყრიან ხოლმე მატარებლიდან, მიჰყავთ ისინი ბარანოვიჩში, სადაც მათ დაჰკითხავენ, — რა მიზნით მიემგზავრებიან პოლონეთში. ამასობაში მგზავრებს დიდხანს აცდევინებენ სრულიად ანტი-სანიტარულ პირობებში.

შემდეგ გზას მგზავრები დასნეულებულნი განაგრძობენ.

სულ უბრალო საბაბით ს. ს. რ. კ-ის მოქალაქეებს დაუყოვნებლივ აპატიმრებენ, დაუწყებენ მათ კლევა-დაკითხვას და დახელოვნებულ წამებას. ამის შემდეგ მათ არაჩვეულებრივი სიტლანქით და ვარშავაში მყოფ ჩვენი პოლიტწარმომადგენლის დაუკითხავად უკუ აძევებენ საზღვარ გარეთ.

საზღვარზე გადაყვანის დროს მოქალაქეები დახვრეტის შიშს განიცდიან; ჯარისკაცები საზღვართან მიახლოვებისას სროლას სტეხენ რუსეთის ტერიტორიის მიმართულებით. შემდეგ მამაკაცებს აგზავნიან წინ, ქალებს კი სტოვებენ დროებით, სანაპირო რაზმის ჯარისკაცთა ანაბარათ, რომლებიც აუპატიურებენ მათ.

ოფიციალური საბუთები ამტკიცებენ უმწეო ქალების მასიურ გაუპატიურების მრავალ ფაქტს. გაუპატიურების შემდეგ გულშეღონებული ქალები ხელით გადააქვთ ს. ს. რ. კ-ის ტერიტორიაზე.

ს. ს. რ. კავშირის მთავრობამ არაერთხელ განაცხადა პროტესტი პოლონეთის ხელისუფლების საზიზღარ მოქმედების გამო, მაგრამ ეს პროტესტები მუდამ უნაყოფო რჩება.

დადგა დრო, როდესაც ს. ს. რ. კავშირის მთავრობამ გადაუდებლათ უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები პოლონეთში მყოფ ს. ს. რ. კ-ის მოქალაქეთა უფლებების დასაცავად და შეაგნებინოს პოლონეთის „დემოკრატიულ მთავრობას", რომ პოლონეთის ჟანდარმების შეურაცხყოფა ცუდ გავლენას იქონიებს იმ მრავალ ათას პოლონეთის მოქალაქეთა მდგომარეობაზე, რომელთა ს. ს. რ. კ-ში ყოფნის ვადა დიდი ხანია გასულია, და რომლებიც, მიუხედავათ ამისა, აქამდე სარგებლობენ ჩვენში სტუმართმოყვარეობით ჩვენი კანონთა მფარველობის ქვეშ.

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

ახალი კაბინეტის დამტკიცება.

პარიზი. 1 ნოემბერი. ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ერთხმად დაამტკიცა კომისართა საბჭოს (კაბინეტის) წევრების სია, რომელიც წარადგინა ისმეტ-ფაშამ. თავის საპროგრამო სიტყვაში ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ კომისართა ახალ საბჭოს პროგრამის ძირითადი მუხლებია ოსმალეთის რესპუბლიკის მთლიანობის დაცვა და მეგობრულ დამოკიდებულებათა დამყარება მეზობელ სახელმწიფოებთან.

შინაგან საქმეთა ახალმა კომისარმა ფერიდ-ბეიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ის მიზნათ ისახავს უშიშროებისა და მშვიდობიან შრომის უზრუნველყოფას მოსახლეობისათვის.

ქემალ-ფაშას სიტყვა.

ანგორა. 31 ოქტომბერი. ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში წარმოთქმულ სიტყვაში, ქემალ-ფაშამ მადლობა გადაუხადა კრებას, პრეზიდენტათ არჩევისათვის და განაცხადა, რომ ოსმალეთის რესპუბლიკა დაუმტკიცებს მთელს ქვეყანას, რომ ის ღირსია მაღალი ადგილი ეჭიროს დიდ სახელმწიფოებს შორის და ბევრათ უფრო მეტ ნიჭს გამოიჩენს, ვიდრე ეს ძველმა ოსმალეთმა გამოიჩინა.

ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენლის მილოცვა.

ანგორა. 31 ოქტომბერი. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენელმა სურიცმა მიულოცა ქემალ-ფაშას პრეზიდენტათ არჩევა და განაცხადა, რომ ქემალის არჩევა ოსმალეთის მშვიდობიან აღმშენებლობის საწინდარია. სურიცმა რწმენა გამოსთქვა, რომ რამდენათაც ქემალი ერთ-ერთი ინციატორთაგანია ს. ს. რ. კ. მეგობრობის, — **ეს მეგობრობა თანდათან უფრო გამტკიცდება და განვითარდება.**

ქემალ-ფაშამ მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ რესპუბლიკა ოსმალეთში ფაქტიურათ უკვე არსებობდა და ეხლა მოხდა მხოლოდ დამატება და განმარტება. შეეხო რა ს. ს. რ. კ. მეგობრობას, ქემალმა განაცხადა, რომ ის აუცილებლად სთვლის ამ მეგობრობის გამტკიცებასა და განვითარებას.

სხვადასხვა

რუმინეთი

დიდ ეკონომიური თათბირი.

ვენა. 31 ოქტ. ეკონომიური კრიზისის გამო, რომელიც გამოწვეულია პურის ექსპორტის შემცირებით, მრეწველობის დაქვეითებით და ფულის ნიშნების ნაკლულოვანებით, რუმინეთის გლეხთა პარტიამ მოაწყო საჯარო თათბირი, რომელშიაც მოიწვია აგრეთვე კომუნისტები. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ. რუმინეთის კომპარტიის წინამძღოლებმა, კრისტენსენმა და ფაბიანმა, გააშუქეს კომპარტიის თვალსაზრისი აგრარულ საკითხში. თათბირის მიერ ერთხმად აღნიშნულ იქნა წარმატება რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების აღდგენის საქმეში.

იტალია.

კრებების აკრძალვა

რომი. 31 ოქტომბერი. ფაშისტებს შორის გახშირებულ შეტაკების გამო, ნეაპოლიტანის პრეფექტმა აკრძალა 5 კაცზე მეტის ერთად შეკრება, კაფეებსა და სასტუმროებშიაც ერთ მაგიდასთან მჯდომ კაცთა რიცხვი 5 ს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთანავე ყველას წინასწარ ართმევენ ჯოხებს და იარაღს.

საბერძნეთი

აჯანყების ჩაქრობა.

ვენა 31 ოქტომბერი. საბერძნეთის მეამბოხეთა წინამძღოლი, გენერალ მარგალიდისი დანებდა მთავრობის ჯარებს. 50-ზე მეტი მეამბოხე აფიცერი გაიქცა სამხრეთ — სლავიაში.

ნორვეგია

ნორვეგიამ ოფიციალურად უნდა იცნოს საკავშირო რესპუბლიკა.

ქრისტიანია. 31 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა მინისტრი რისტადი გაზეთში მოთავსებულ წერილში ამბობს: „თუ ნორვეგია დაინტერესებულია, რომ საკავშირო რესპუბლიკისაგან მიიღოს სანქცია ნორვეგიის სუვერენობისა შპიცბერგენზე, **მაშინ მან თავისი მხრივ უნდა იცოდეს რუსეთის არსებული ხელისუფლება დეიურედ**".

რისტადი სახელგანთქმულია, როგორც სამართლის კარგი მცოდნე. ამის გამო მისმა წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ნორვეგიის საზოგადოებრივ აზრზე.

ავსტრია

რუსეთის პურმა გაიმარჯვა.

ვენა. 31 ოქტ. ავსტრიაში მისულმა რუსეთის პურის პირველმა პარტიამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მოტანილი პურის უდიდესი ნაწილი იტალიაში გაიყიდა, დანარჩენი კი — ავსტრიაში ძალიან დიდ ფასებში — კილო (2 ნახ. გირვანქაა) 3,800 კრონად მაშინ, როდესაც სამხრეთ-სლავიის ხორბალი, უკეთეს შემთხვევაში, კილო 3,650 კრონის ზევით არ ასულა.

გერმანია

სარატიფიკაციო ბარათების გაცვლა-გამოცვლა.

ბერლინი. 31 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა სამინისტროში მოხდა სარატიფიკაციო ბარათების გაცვლა-გამოცვლა ს. ს. რ. კავშირის წარმომადგენლის — კრესტინსკის და გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მალცანს შორის, რაპალოს ხელშეკრულების გაფართოების შესახებ.

ამერიკა

რუსეთ-კანადა ამერიკის სამგზავრო სააგენტო.

მოსკოვი. 31 ოქტომბერი. დაარსებულია რუსეთ-კანადა-ამერიკის სამგზავრო სააგენტო ემიგრანტების და იმიგრანტების გადასაყვანად. საზოგადოების აქციონერებია: „მოხალისე ფლოტი", სახელმწიფო — გემების სამმართველო, კანადის „სოკეანო რკინის-გზის კომპანია", კუნარდის გემების კომპანია და ჰოლანდია-ამერიკული ასოციაცია.

სპარსეთი

ჩვენი ექსპონატები ტეგერანის გამოფენაზე.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატმა გაგზავნა ტეგერანის სასოფლო-სამეურნეო და საპრეწველო გამოფენაზე ახალ ნაწარმოებების ნიმუშები, დიოგრამები და კარტოგრამები. სინდიკატი ამუშავებს სპეციალურ ნახატებიან ქსოვილებს აღმოსავლეთის ბაზრებისათვის.

იაპონია

კამპანია ს. ს. რ. კავშირთან მოლაპარაკების განახლებისათვის.

ტოკიო. 30 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი მაცუდაირა და იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ყველა უმაღლესი მოხელეები სცდილობენ დაარწმუნონ იჟუინა იმაში, რომ **საჭიროა საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების განახლება.**

ლატვია

რუსეთ-ლატვიის სარკინიგზო კონფერენცია.

რიგა. 31 ოქტომბერი. გაიხსნა რუსეთ-ლატვიის მეოთხე სარკინისგზო კონფერენცია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მილიციის არსებობის 6 წლის თავი.

მოსკოვი. 2 ნოემბ. 12 ნოემბერს, მილიციის არსებობის 6 წლის თავზე პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო აწყობს მიტინგებს, მოხსენებებს და საუბრებს მილიციის მნიშვნელობისა და მილიციონერთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. წინა დღით გაიმართება მოგონებათა საღამო.

ერთდღიური დღესასწაული ოქტომბრის წლის თავისა.

მოსკოვი. 2 ნოემბ. შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა, ოქტომბრის წლის თავი მხოლოდ ერთის დღის იდღესასწაულონ, სახელდობრ 7 ნოემბერს. წინა დღით 6 საათზე მეტი მუშაობა არ უნდა იყოს, ხელფასი კი სრული სამუშაო დღისა უნდა მიეცეთ. დღიურ და კვირიულ მუშებს 7 ნოემბრის ანგარიშში მიეცემათ საშუალო ხელფასი.

საზღვარ-გარედ გაზიდვა მადნეული წყლებისა.

მოსკოვი. 2 ნოემბ. მთავარმა საკურორტო სამმართველომ საკითხი აღძრა საზღვარ-გარედ მადნეულ სამკურნალო წყლების გაზიდვის შესახებ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დასტური მისცა მხოლოდ იმ პირობით, რომ ყოველი გატანის დროს საგანგებო ნებართვა აიღონ ხოლმე.

პურის მოსავალი.

მოსკოვი. 2 ნოემბერი. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით, წლევანდელი პურის მოსავალი დესეტინაზე 42,3 ფუთს უდრიდა. შარშან კი 50,2 ფუთი იყო. ნათესი ადგილების სივრცე წელს 15 პროცენტით გაიზარდა. თუმცა მეტისმეტად ხელშემშლელი პირობები იყო, მაგრამ წლევანდელი მოსავალი სავსებით დააკმაყოფილებს საკავშირო რესპუბლიკის სასურსათო და სათესლე მოთხოვნილებას და საზღვარ გარედ გასაზიდიც მოგვრჩება.

ილიუზიები უნდა გაიფანტოს

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი. 1 ნოემბერი. „პრავდა"-ს მოწინავე წერილში ამხ. ზინოვიევი სწერს:

„გერმანიის რევოლუცია გადადის ყველაზე სახიფათო პერიოდში. აგვისტოს საგაფიცვო მოძრაობის პერიოდში გაჰქრა ყოველი იმედი კრიზისის მშვიდობიანი გზით განელებისა. დღეს გამქრალია ილიუზია იმის შესახებ, რომ მემარცხენე სოციალ-დემოკრატია აღმოჩნდება ბარიკადის ერთ მხარეზე მებრძოლ პროლეტარიატთან ერთად.

უკანასკნელი ამბები გაკვეთილი იქნება ყველასათვის". ეხება რა ვრცლად მემარცხენე და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების მოქმედებას ჰამბურგის აჯანყების და საქსონიის მიმართ, ამხ. ზინოვიევი ახასიათებს ამ მოქმედებას, როგორც შრომის განაწილებას, როგორც საზიზღარ ღალატს. „დღევანდელ გერმანიის გაკვეთილები საკმარისია იმისათვის, რათა ერთხელ და სამუდამოდ განიკურნონ გერმანელი კომუნისტები და ჩვენც განვთავისუფლდეთ იმ ილიუზიებისაგან, თითქოს სოციალ-დემოკრატია და განსაკუთრებით მემარცხენე არის მუშათა პარტია".

გერმანიის პროლეტარიატის მთავარი ძალები ჯერ კიდევ ბრძოლაში არ ჩაბმულან. სხვადასხვა ქალაქების მუშების გამოსვლები გერმანიის კომპარტიის სურვილის წინააღმდეგ, მოწმობს იმას, რომ ატმოსფერა ძალიან არის გახურებული. მუშების შეიარაღების მწვავე მოთხოვნილება მხოლოდ ეხლა იღებს მასიურ ხასიათს. გადამწყვეტი ბრძოლა რამდენიმე ხნით გადაიდო. მაგრამ ეს ბრძოლა აუცილებელია.

ჩვენი მთავარი პოლიტიკური ამოცანაა საბოლოოდ დაუკარგოთ გავლენა გერმანიის როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე სოც.-დემოკრატიას და ამით გავკაფოთ გზა მუშების გამარჯვებისაკენ. გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ გაუკაფა გზა ფაშისტებს ძალაუფლების მშვიდობიანი გზით ხელში ჩასაგდებად. ფაშისტები, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დახმარებით, მხოლოდ ხოცავენ მრავალ ასეულ მუშებს პროლეტარულ ცენტრებში. მაგრამ გერმანია-იტალია არ არის. გერმანიის ფაშიზმს გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დახმარებითაც კა არ შეუძლია ელემენტარულ და გადაუდებელ ამოცანების გადაწყვეტა.

გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. საერთაშორისო ნასკვი თანდათან უფრო იხლართება. გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, პირიქით გაუარესდა და ის ყოველი დღით უფრო და უფრო მწვავე გახდება. რევოლუციის ძირითადი საფუძვლები განაგრძობენ მოქმედებას. დაკარგავს რა უკანასკნელ ილიუზიებს, გერმანიის პროლეტარიატი უფრო ძლიერი გახდება. მუშები გაიგებენ, რომ გადამწყვეტი ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის კონტრ-რევოლუციონურ მეთაურების წინააღმდეგ. ისინი გაიგებენ, რომ სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე მეთაურები — ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლუციის ბოროტი აგენტებია, სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე მეთაურები კი, მემარჯვენე მეთაურების დანართია.

ძნელი სათქმელია წინდაწინ, რამდენი დრო იქნება საჭირო იმისათვის, რომ მასებმა მოინელონ უკანასკნელ კვირეების პოლიტიკური გამოცდილება.

შემდეგ ამხ. ზინოვიევი აღნიშნავს, რომ საქსონიის მთავრობამ ვერ შესძლო იმ წინასწარ ამოცანების შესრულება, რომლებიც აღნიშნულია კომინტერნის მეოთხე კონგრესის რეზოლუციაში, სახელდობრ: 1) პროლეტარიატის შეიარაღება, 2) ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლუციონურ ორგანიზაციების განიარაღება, 3) კონტროლის დაწესება წარმოებაზე, 4) გადასახადების მთავარი ტვირთის შეძლებიან კლასზე გადატანა, 5) ბურჟუაზიის წინააღმდეგობის მოსპობა. „სოციალ-დემოკრატიამ ყოველივე მოიმოქმედა, რომ ამ ამოცანების შესრულებისათვის ხელი შეეშალა. ამიტომაც იგი დაიღუპა. გერმანელ კომუნისტებს მაინც არ უნდა გაუტყდეს გული ამ ცდის გამო. გერმანიის კომუნისტებს არ შეეძლოთ აცილება და არც უნდა აეცილებინათ თავიდან საქსონიის მთავრობაში მონაწილეობა. მათ დაანახეს პატიოსან მუშა-სოციალ-დემოკრატებს, რომ კომუნისტები მზათ არიან სოციალ-დემოკრატიის უმცირესობასთანაც ერთად გამოვიდენ, თუ სოციალ-დემოკრატები თანახმა იქნებიან მუშათა კლასისადმი თავისი მოვალეობის შესრულებაზე.

საქსონიის მთავრობის დამარცხება — ეს პირველად ყოვლისა მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის დამარცხებაა. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია. მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგი სწორი რჩება. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სახე ძველებურათ გამოიყურება: მემარჯვენენი — აშკარა კონტრრევოლუციონერებია, მემარცხენენი კი — მათი უძლური მაჩანჩალები.

კომინტერნის მეოთხე კონგრესის რეზოლუციის საბოლოო ნაწილში მუშათა მთავრობის საკითხის გამო ნათქვამია: პროლეტარიატის დასრულებულ დიქტატურას წარმოადგენს მხოლოდ წმინდა მუშათა მთავრობა, რომელიც შესდგება კომუნისტებისაგან. ეხლა ამ სიტყვებს განიმეორებს კომინტერნთან ერთად გერმანიის მრავალ მილიონიანი მუშათა კლასი.

რაც არ უნდა იყოს, გერმანიის რევოლუციონურ პროლეტარიატს კიდევ დაუდგება დღესასწაული. გადამწყვეტი ბრძოლების მომენტი შორს არ არის".

სადღეისო ამოცანა

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი. 2 ნოემბერი. გაზეთი „პრავდა" სწერს: „ჩვენს პარტიას არა ერთხელ აღუნიშნავს ის საშიშროებანი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან. ეს საშიშროებანი დაძლეულ უნდა იქნენ სისტემატიურათ და მტკიცეთ. პირველყოვლისა საჭიროა ბრძოლის წარმოება შემდეგ ხაზებზე:

1-ლი. ჩვენი საკუთარ მრეწველობის გამტკიცება.

2-რე. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის მახინჯ მხარეებთან ბრძოლა.

ჩვენ არ უნდა მოვითმინოთ ყოველგვარი სპეკულიატიური ვაკხანალია. ჩვენ უნდა ვაიძულოთ ბურჟუაზია, რათა მან თავისი კაპიტალი ჩადოს სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგებში. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ზედმეტ ფუფუნებას.

3-ე. საჭიროა დაუზოგველათ იქნეს გაწმენდილი ჩვენი საკუთარი წარმოებები, ტრესტები და სინდიკატები, მათ უნდა მიმართონ ისეთ კაპიტალისტურ მეთოდებს, რომელსაც ხმარობდა პურიტანული ტიპის ბურჟუაზია და არა გახრწნილ კაპიტალიზმის ტიპის ბურჟუაზია. ზედმეტი ხარჯვა და სპეკულიატიურ კაპიტალთან შეზრდა ხაზინის საზარალოთ დასჯილ უნდა იქნეს კანონის მთელი სისასტიკით. ჩვენი სამეურნეო მუშაკებისათვის წესი უნდა იყვეს: „ეკონომია გასწიე ყველაფერზე, რაც აბსოლიუტურათ არ არის საჭირო, ეცადე ეკონომია არ გასწიო შრომის ხელფასზე".

4. საჭიროა ყოფა-ცხოვრების რეჟიმის გატარება პარტიის ყველა წევრებისათვის. ჩვენ იძულებული ვართ უკეთესათ უზრუნველვყოთ ჩვენი კვალიფიციური მუშაკები, მაგრამ საჭიროა ზომიერების დაცვა. ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონფლიქტო კომისია იმუშავებენ მთელ რიგ სათანადო ღონისძიებებს. ჩვენ გვაქვს, გარდა უკვე ცნობილისა, კიდევ ერთი „მაკრატელი": ყოფა-ცხოვრების სხვადასხვაობა, რომელმაც არასასურველი ხასიათი მიიღო. აუცილებელია სერიოზულათ მოვეპყრათ ამ საკითხს და ნამდვილი ბრძოლა ვაწარმოვოთ ამ ბოროტების წინააღმდეგ. ასეთია პარტიის ნებისყოფა."

რუსეთის ცენტ. აღმასკომის სესია

თურქესტანის რესპუბლიკის ცაკის მოხსენება.

მოსკოვი. 2 ნოემბ. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესიის დღევანდელ სხდომაზე მოსმენილი იყო თურქესტანის რესპუბლიკის ცაკის მოხსენება. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ბასმაჩები თურქესტანის რესპუბლიკაში თითქმის მოსპობილნი არიან. წინად ბასმაჩების რიგებში ითვლებოდა ათეული ათასები, ეხლა კი ფერგანის და სამარკანდის ოლქებში ძლივსძლივობით მოიპოვება 300 აქტიური ბასმაჩი, რომელნიც დაყოფილნი არიან წვრილ ჯგუფებათ და იმალებიან მთიან ადგილებში; ბასმაჩებს არავითარ დახმარებას არ უწევენ გლეხები.

ბასმაჩების მოძრაობა აღარ არის, დარჩა მისი შედეგები — სამეურნეო ნგრევა და სიმშილი, რომელიც განსაკუთრებით მძიმეა ფერგანში, სადაც მიმდინარე წელში დათესილი იყო მხოლოდ 270.000 დესეტინა 1915 წელს 886.000 დესეტინის წინააღმდეგ. სამეურნეო ნგრევასთან საბრძოლველათ აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის კრედიტის მიცემა, გადასახადების სწორი განაწილება, მიწათმფლობელობის მოწესრიგება, სახელმწიფო სალაროდან საშუალებების გაღება გლეხებისათვის ინვენტარის მისაწოდებლათ და დახმარების გასაწევათ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მოსახლეობისათვის.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის სესიამ დაადგინა წინადადება მისცეს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმს დაწვრილებით განიხილოს ყველა წინადადებები, რომელნიც გამომდინარეობენ თურქესტანის რესპუბლიკის ცაკის მოხსენებიდან და მიიღოს სათანადო ზომები თურქესტანის რესპუბლიკის მეურნეობის გამტკიცებისა და განვითარებისათვის.

მოხსენება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ.

ამხ. სემაშკო მოხსენებას აკეთებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშაობის შესახებ. ტიფის ეპიდემია რესპუბლიკაში, რომელსაც საშიში ხასიათი ჰქონდა მიღებული, შესამჩნევად დაეცა. ხოლერა, როგორც ეპიდემია, წარსულ ზაფხულს სულ არ ყოფილა, მაგრამ ზოგიერთ გუბერნიებში მაინც დარჩა ეპიდემიური ბუდეები; აუცილებელია გამოყენებულ იქნენ ყველა ძალები და საშუალებები, რომ საბოლოოთ განადგურებულ იქნეს ეს ბუდეები.

ეპიდემიის შესამჩნევათ შემცირება არ ნიშნავს სანიტარულ კეთილდღეობის არსებობას ქვეყანაში; რამდენათაც ქვეყნის ეკონომიური და სასურსათო პირობები ისევ მძიმე რჩება, იმდენათ ჩვენ გვაქვს ნიადაგი სხვადასხვა ეპიდემიების განვითარებისათვის რესპუბლიკაში.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მორიგი ამოცანაა — ძალების ენერგიული მობილიზაცია ეპიდემიების შესაძლებელ განმეორების წინააღმდეგ და, პირველ რიგში, სანიტარულ აპარატის გამტკიცება. საქალაქო საავადმყოფოთა ქსელმა თავი დააღწია კრიზისს, რომელიც დაკავშირებული იყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან, და ეხლა ფეხზე დგება.

სოფლის საავადმყოფოთა ქსელის მდგომარეობა, პირიქით, საშიშია, მისი დაცემა რაოდენობისა და ღირსების მხრივ გრძელდება.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ კომისიის სტატისტიკურ ცნობების თანახმად, იმპერიალისტურ ომის განმავლობაში შრომის უნარი დაჰკარგა მშრომელ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა. რესპუბლიკების კავშირმა დაჰკარგა თავის შრომის რესურსების ერთი მესამედი. დადგა დრო, როდესაც საკითხი ამ რესურსების დაცვის შესახებ სერიოზულად უნდა იქნეს დასმული, როგორც აუცილებელი პირობა არა მარტო ქვეყნის გაჯანსაღებისათვის, არამედ როგორც პირობა მისი სამეურნეო აღორძინებისა და სოციალისტურ აღმშენებლობისათვის. სხდომის დასასრულს გაიმართა კამათი ამხ. სემაშკოს მოხსენების გარშემო.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

მივბაძოთ ქართულ კურსანტთა შეერთებულ სამხედრო სკოლას.

ქართულ კურსანტთა შეერთებულ სამხედრო სკოლამ შემოიტანა — 1,195,300,000 მანეთი შემომწირველთა შემდეგი სიით: ტალახაძე—100 მილ მან., გრიგოლია—35 მილ. მან., ჩიჩუა—5 მილ. მან., თეთრაძე—3 მილ. მან., ხონელიძე—3 მილ. მან., ხმალაძე დავითი—8 მილ. მან., მუჯირი სევერიანე—5 მილ. მან., ჯიჯიეშვილი სიმონი—10 მილ. მან, მიროტაძე პლატონი—50 მილ. მან., შავგულიძე შალვა—10 მილ. მან., გელაშვილი სპირიდონი 10 მილ. მან., შავგულიძე დავითი 5 მილ. მან., კოპაძე პეტრე—5 მილ. მან., აბრამიშვილი მიხეილი—5 მილ. მან., ქოლოკავა საშა—10 მილ. მან., ანთელავა სევერიან—10 მილ. მან, შარაშენიძე შალიკო—50 მილ. მან., გორგაძე ალექსანდრე—5 მილ. მან., ომაროვი ლევანი—8 მილ. მან., გურგენიძე ბიქტორი—25 მილ. მან., გედევანიშვილი ალექ.—8 მილ. მან., ზაზაშვილი თამარი—3 მილ. მან., ლესენიძე კოტე—25 მილ. მან., ჩიტაიშვილი გერმანე—10 მილ. მან., ლორთქიფანიძე—17 მილ. მან., შელია ტერენტი—25 მილ. მან., სამთელაძე გრიგოლი—3 მილ. მან., იოსავა აბესალომ—10 მილ. მან., კააფელაძე ბიქტორი—9 მილ. მან., ძნელაძე შალიკო—10 მილ. მან, ბაქრაძე ვახტანგ—8 მილ. მან., ებრალიძე რაჟდენი—3 მილ. მან., ლესენიძე დავითი—5 მილ. მან, გვარაშვილი ივანე—9 მილ. მან., ხარაძე ლუკა—10 მილ. მან., ლისინოვი ბიქტორი—15 მილ. მან., ბაკურაძე ილია 20 მილ. მან., ბუჯიგიანი კონსტანტიმე—3 მილ. მან., დოლიძე გერმანე—5 მილ. მან., ლალიაშვილი მიხეილი—15 მილ. მან, ქეიშვილი ივანე—2 ნახ. მილ. მან., პეტრიაშვილი იოსებ—20 მილ. მან., შევჩენკო გიორგი—2 მილ. მან., გვასალია გერმანე—15 მილ. მან., ნიკოლსკი სერგეი—15 მილ. მან., იოგანსიან ვლადიმერი—10 მილ. მან., ლეჟავა შალვა—5 მილ. მან., მაკარიძე სილიბისტრო—25 მილ. მან., ბაქრაძე იოკიმე—25 მილ. მან., მაღალაშვილი ილია—10 მილ. მან., თურქია სავინი—25 მილ. მან., ჩიტაიშვილი ლევანი—25 მილ. მან., სანიკიძე გიორგი—25 მილ. მან., მახარობლიძე—10 მილ. მან., ბალუაშვილი ანდრეი—5 მილ. მან., სლინკო ლავრენტი—5 მილ. მან., ჩიჩუა ნიკოლოზი—15 მილ. მან., ერისთავი სიმონი—15 მილ. მან., მახვილაძე სოლომონი—5 მილ. მან., ინწკირველი ტიმოთე—10 მილ. მან., გოლოვნია ლევანი—20 მილ. მან., ბადრიძე—25 მილ. მან., უთნელიშვილი ალექსანდრე—20 მილ. მან., კალანდია ვიქტორი—10 მილ. მან., ვერულაშვილი ვასილი—25 მილ. მან., გველესიანი ალექსანდრე—20 მილ. მან., ბურდულაძე ვალერიანე—25 მილ. მან., არეშოვი მიხეილი—10 მილ. მან., ჰეჭინაძე სევერიანე—10 მილ. მან., შარაბიძე ნიკო—20 მილ. მან., კარანკოზოვი—10 მილ. მან., მაჩაიძე—10 მილ. მან., სულაბერიძე—10 მილ. მან., ადამიძე ივან—50 მილ. მან., ფხაკაძე—3 მილ. მან., ღლონტი—2 მილ. არჯევანიძე—5 მილ. მან., მაჩიძე—5 მილ. მან., გორდელაძე—5 მილ. მან., დოლიძე შიო—5 მილ. მან., ქარუმიძე ვლადიმერი—10 მილ. მან, გედევანიშვილი—10 მილ. მან., ქარუმიძე დავითი—5 მილ. 600 ათასი მან., ლაბაძე—5 მილ. მან., გარდაბხაძე—12 მილ. 600-ათასი მან., ლოპატინი ვასილი—15 მილ. მან., მჭედლიშვილი—5 მილ. მან., ლაჭყეპია—2 მილ. მან.

სულ 1.195.300.000 (ერთი მილიარდი ას ოთხმოცდა თხუთმეტი მილიონი სამასი ათასი) მანეთი.

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას

ამხ. რიტა ალავერდოვის გამოწვევაზე შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში ერთი ჩერვონეცი და ვიწვევ ჩემის მხრივ შემდეგ ამხანაგებს ქუთაისიდან: ინჟ. ს. გვანცელაძეს, ინჟ. ნ. თუმანიშვილს, ინჟ. ს. ზეთანოვს, ი. მარდალეიშვილს, შ. კურდღელაშვილს და თ. ვაწაძეს.

ინჟ. სერგო მამაჯანოვი

ვარდგენთ ამასთან ერთად გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ მე 10 თე სამილიციო რაიონის თანამშრომელთა მიერ გადადებულ ერთი დღის ჯამაგირს 280.300.000 მანეთს და ვიწვევთ სხვა რაიონის მილიციის თანამშრომელთ მიბაძონ ჩვენს მაგალითს.

მეათე სამილიციო რაიონის ადგილკომი

ამხ. ვ. ნიკოლაიშვილის და ნ. შავგულიძეს გამოწვევაზე შემომაქვს ასი მილიონი (100.000.000 მ.) გერმანიის მებრძოლ მუშების სასარგებლოდ და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან ივანე კვარაცხელიას და ბიქტორ ცაგურიას. ზუგდიდიდან ყველა იმ ამხანაგებს და მოქალაქე ექიმებს, რომელნიც რამოდენიმეჯერ იყვნენ გამოწვეული, მაგრამ ჯერ თავიანთი წვლილი არ შეუტანიათ. **ჯ. რაფავა.**

ამხ. ფრანგულიანის, ფანცხავას და ნიკოლაიშვილის გამოწვევით შემომაქვს 50 მილიონი მანეთი გერმანელ მუშებისთვის და ჩემის მხრივ ვიწვევ ექიმებს: აბზიანიძეს, კვიჟინაძეს, შ. ყიფიანს, გელოვანს (ქუთაისი), ექ. ჟორდანიას, ექ. ბაქრაძეს (ონი), ექ. იაშვილს, აგზიბეგოვს (ლეჩხუმი), ექიმებს—მუჯირს, ადამიას, დგებუაძეს (ზუგდიდი), ექ. სარქისიანცს (სენაკი), ამბრ. ჩიჩუას, ნიკოლაიშვილს (ოზურგეთი), ექიმებს მიქაბერიძეს, თურქიას, მოიშევს, სტეპანოვს (ფოთი), ექ. ჰეჭინაძეს, ამაშუკელს (შორაპანი); ჯანსახკომიდან: განცელიძეს, ექიმებს—ჯანსახკომის მოადგილეს, გეგელაშვილს, ჰეჭინაძეს, ექიმებს—გვერდწითელს, ზახარიანს, ამხ. შეფის (გორი) ჯანსახკომი ხეთაგუროვს (ცხინვალი). ექ. ძიძაძეს (სიღნაღი), ექ. ბალიაშვილს, ამხ. შიუკაშვილს, ექ. დონდაროვს, იურგენს (დუშეთი) და ექ. ნაზარიანს (ბორჩალო). **ა. გოცირიძე.**

ამხ. ქურდაძის გამოწვევით შემომაქვს 40 მილიონი მანეთი და ვიწვევ ამხ. ნოე ლეჟავას, ა. პარუსეცკის, ამხ. დიკს (დორპროფსოჟი) ა. კორბაგინს, ა. ნოვროზაშვილს (რკინისგზის სამმართველო) ვარდენ კალანდაძეს, მოსე ნინიძეს (ოზურგეთი) სტეფან აკოფოვს, შაქრო ხიდირბეგიშვილს (ტფილისი) არჩილ ბერკაძეს, ისიდორე კოზალიას (სურამი), ტალაკვაძეს და გ. ლოტოევს (გორი) და ყველა მაზრის სამიწაწყლო განყოფილების გამგებს საქართველოში. **ლავრენტი გოგოლაძე.**

შემოვიდა 2 ნოემბერს:

1. ქართულ კურსანტთა შეერთებული სამხედრო სკოლა 12 ჩერვ. 109.300.000 მ., 2. ს. მამაჯანოვი, 1 ჩერვ. 3. მე-10 სამილიციო რაიონის თანამშრ. 280.300.000 მ., 4. ჯ. რაფავა, 100.000.000 მ., 5. ა. გოცირიძე, 50.000.000 მ, 6. ლ. გოგოლაძე, 40.000.000 მ.,

სულ: 13 ჩერვონეცი და 579.600.000 მ.

წინეთ შემოსულით: 304 ჩერვონეცი, 9 ნახ. გირ. ინგ. სტერლინგი, 30 ნახ. ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 9 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგულე, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 34 ვერცხლის მანეთი, 2 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი და 8.364 687.000 მანეთი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

აჭარა

ნავთსადგურში.

ბათომი. 31 ოქტ. ნავთსადგურიდან გავიდნენ: ფოთში გემი „მედი" უტვირთოთ, ოდესაში გემი „იგნატე სერგეევი", რომელმაც ბათომში მოიტანა 9,715 ფუთი ტვირთი.

სტამბოლიდან მოვიდა გემი „ოსტპრეისსენ"-ი, რომელმაც მოიტანა 720 ფუთი სხვადასხვა ტვირთი და მოიყვანა 34 მგზავრი.

აბრეშუმის პარკის გაგზავნა.

ბათომი. 31 ოქტ. ცეკავშირის ბათომის განყოფილებამ მიიღო 45 ვაგონი აბრეშუმის პარკი, რომელიც იგზავნება საზღვარ-გარეთ სხვადასხვა საქონელზე გადასაცვლელათ.

მე-5-ე პარტკონფერენცია.

ბათომი. 31 ოქტ. 29 ოქტომბერს გაიხსნა მეხუთე პარტკონფერენცია. პრეზიდიუმში არჩეულნი არიან ამხ. სვანიძე, კახიანი, მოწყობილი, აბულაძე, ბერბერაშვილი, ჯაყელი, დუმბაძე, რამიშვილი და გუბელი. საპატიო წევრებათ არჩეულნი არიან ამხ. ლენინი, ტროცკი, ცხაკაია, ცეტკინი და მახარაძე.

აზერბეიჯანი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფისათვის.

ბაქო. 31 ოქტ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მაზრებში შეფერხებულია ამჟამათ საბჭოთა საარჩევნო კამპანიით, რომელშიაც ჩაბმულია პასუხისმგებელ სამაზრო მუშაკთა უმრავლესობა. მალე შემოდგომის წვიმიანი ამინდებიც დადგება. ლენქორანის, სალიანის, შამხორის მაზრებში და, აგრეთვე, ნახიჩევანის რაიონში უკვე დაიწყო წვიმების პერიოდი, რაც გავლენას მოახდენს კამპანიის განვითარებაზე. იმ ადგილებს, რომლებიც განსაკუთრებით ჩამორჩენ გადასახადის აკრეფაში, დაეგზავნა განკარგულებები აკრეფის დაჩქარების შესახებ. მთელს აზერბეიჯანში აუკრეფელი დარჩა მთელი გადასახადის ერთი მესამედი ნაწილი.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 1 ნოემბ. 23—25 ოქტომბერს ბაქოს ყველა ნავთის სამრეწველოებში ამოუღიათ 1,924,000 ფუთი ნავთი. საქჩავში მიუშვიათ 38,000 ფუთი, საქაჩავიდან მიუღიათ 37,000 ფუთი, დ-წმენდილა 144,000 ფუთი, ბურღვაზე მუშაობდა საშუალოდ 175 დაზგა. ჩაუბურღვიათ 264 საჟენი.

სომხეთი

საარჩევნო კამპანია.

ერევანი. 1 ნოემბ. ამ კვირია იწყება საარჩევნო კამპანია პროვინციაში. ერევანში, პროფკავშირთა საშუალებით, ადგენენ ამომრჩეველთა სიებს.

გუმბრი. 1 ნოემბ. სოფლის საბჭოების არჩევნებს მოსახლეობა დიდის ინტერესით ეკიდება. ყველგან გადის კომუნისტების სია. არჩევნები დიდს ინტერესს იწვევს იეზიდებში; იაშიხები და ფირები, რომლებიც მემკვიდრეობის ძალით არიან სასულიერო პირებად, ხელს იღებენ თავის წოდებაზე, ოღონ საარჩევნო უფლება არ დაჰკარგონ.

დაშნაკელთა დაშლა.

ერევანი. 1 ნოემბ. ერევნის მაზრის სხვადასხვა კუთხიდან იტყობინებიან, რომ დაშნაკელთა პარტია ყველგან იშლება. ახლო მომავალში მოხდება სამაზრო ყრილობა ყოფილ დაშნაკელებისა.

პარტიული ცხოვრება

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პარტიული კოლეგიისაგან

ცნობად ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყველა წევრებს

რ. კ. პ. ც. კ. დადგენილების თანახმად პარტიის წევრთა განცხადებების გამო (საბუთების დაკარგვა, საპატიო მიზეზების გამო პარტიული გაწმენდის თავის დროზე არ გავლა, დამატებითი მასალები იმ პირთა სტაჟის შესახებ, რომლებმაც წმენდა გაიარეს, მაგრამ არ ჰქონდათ საშუალება წარმოედგინათ საბუთები არალეგალური მუშაობის სტაჟის შესახებ, სხვა პარტიებში ყოფნის სტაჟში ჩათვლის ან პარტიული რეპრესიების გამო შემცირებული სტაჟის აღდგენის სურვილი) სტაჟის გამორკვევა ევალება რ. კ. პ. ც. კ.

ამხანაგებს, რომელთაც სურთ გამოკვლევა საკითხის თავისი სტაჟის შესახებ, შეაქვთ განცხადება რესპუბლიკანურ საკონტროლო კომისიაში თავისი მუშაობის ადგილის მიხედვით.

რესპუბლიკანური საკანტროლო კომისია იხილავს საკითხს, გამოაქვს თავისი დადგენილება და ამ დადგენილებას საქმესთან ერთად გზავნის ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიაში. როგორც საერთო წესი პარტიული სტაჟის საქმეების შესახებ, გამოგზავნილი უნდა იქნას შემდეგი საბუთები:

1. პირადი განმარტებები იმ ამხანაგის, რომელსაც სტაჟის აღდგენა სურს, რომელ ორგანიზაციაში და რა მუშაობას ასრულებდა იმ დროის ცალკე პერიოდებში, რომლის ჩათვლა სურს მას პარტსტაჟში; 2. პარტსტაჟის დამოწმება არა ნაკლებ, ვიდრე პარტიის სამი წევრის მიერ; 3. იმ შემთხვევაში, როცა ამხანაგს სურს პარტიული რეპრესიების ძალით შეკვეცილი პარტ-სტაჟის აღდგენა—იმ უჯრედის აზრი ამის შესახებ, სადაც ის უკანასკნელ ხანებში მუშაობდა და, რამდენათაც შესაძლებელია, აზრი იმ ორგანიზაციის, რომელმაც პარტ-სტაჟი შეუკვეცა.

ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტრ. როლო კომისიის პარტიული საქმეების კოლეგიის თავმჯდომარე

ხანოიანი.

კომუნარების ვარჯიშობა ლაგოდეხში

საუცხოვო სანახავია პროლეტარული წრეებიდან გამოსული კომუნარები თავისი წითელი კომანდირებით რევოლიუციონური სიმღერებით მწყობრათ სიარულის დროს. 14 ოქტომბერს შესდგა სამხედრო ვარჯიშობა ლაგოდეხის რაიონის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების მესამე გუნდის კომუნარებისა; მეცადინეობაზე მოწვეული იყო მთელ რაიონში მყოფი კომუნარები როგორ კომკავშირის, ისე პარტიის წევრები. ვარჯიშობამ კარგად ჩაიარა და საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე. გამოცდა იყო როგორც საველე სამსახურში, ისე სამოსწავლო სროლაში; საუკეთესო მსროლელებს ეძლეოდათ საჩუქარი („პრიზი“). სიღნაღის გან. დან. ნაწ. უფროსმა ამხ. აკობიძემ სიღნ. სამხ. საბჭოს სახელით ვერცხლის საათი გადასცა კომუნარს ამხ. ლადო ჯიოევს და ოცი მილიონი მან. კომკავშირის წევრს ამხ. ქიტა ჭურაბაშვილს.

ამ ვარჯიშობამ კომუნარებში საუკეთესო შედეგი მოგვცა: ერთი მხრივ, კომუნარებმა გაწვრთნა მიიღეს სამხედრო საქმეში და, მეორე მხრივ, მოისმინეს ლექცია-მოხსენებები, წარმოდგენები და სხვა, რამაც კიდევ უფრო დააკავშირა ერთმანეთს გუნდის შემადგენლობა.

უკანასკნელ ვარჯიშობის დღეს, ე. ი. 18 ოქტომბერს გამართული იქნა კომუნარებისათვის სადილი ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, როგორც, მაგალითად: თამბაქოს ტრესტის გამგეობა, მომხ. საზ. გამგეობა. აღმასრულებელი კომიტეტი, ქ. ლაგოდეხის და სიღნაღის სამაზრო ქალთა განყოფილება.

ამ დაწესებულებათა წარმომადგენლები მხურვალეთ მიესალმენ კომუნარებს და უსურვეს მას გამარჯვება პროლეტარიატის და გლეხობის ინტერესების დაცვის საქმეში. მისასალმებელი სიტყვების დროს მუსიკა ასრულებდა ინტერნაციონალს.

დასასრულ გაიმართა ცეკვა, რომელშიაც პრიზი აიღო ამხ. ლადო ჯიოევმა.

ლაგოდეხის შუა-გულში მწყობრათ ორკესტრის ხმების ქვეშ გავლის შემდეგ კომუნარები დაიშალნენ, დაუბრუნდნენ მშვიდობიან შრომას.

ზ. გიორგაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(2 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	95,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	89,000
ჩეკები —	85,000
დოლარები ეფექტ. —	20,500
ჩეკები	19.000
ოსმ. ქაღ. ლირა	10.800
იტალიური ლირა	600
ფრანგული ფრანკი	900
საბჭ. ფულის ნიშნები	13

მუშკოოპის ფასები.

(2 ნოემბერი.)

პური 1 ხარ.—450 ათ., პური 2 ხარ.—350, ძროხის ხორცი—1100 მ. შაქარი რაფინადი 4.665 ათ., ფხვნილი შაქარი 3350 ათ., მაკარონი—1520 ათ., კარტოფილი—120 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები

პური 1 ხარ. გირ. 600—700 ათასი, პური 2 ხარ.—400, ძროხის ხორცი—1300, ცხვრის ხორცი—1600, შაქარი რაფინადი 5. მილ. ფხვნილი შაქარი—3500 მან., ბრინჯი ალდაშის—900, მაკარონი 1700, კარტოფილი—200.

ბირჟის მიწოდება.

ხორბალი 70 ვაგონი. ქერი 60 ვაგონი. ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხ. ალდაშის ბრინჯი. ფხვნილი შაქ. შაბიამანი სპილენძი. ცენტროსოიუზის ჩაი. აბრეშუმი (დაურთავი) მანუფაქტურა. იტალიური მანუფაქტურა. კაუსტიური სოდა. ქიმიური ნაწარმოები. სკიპიდარი. ასანთი. ფანჯრების მინა. საპონი, ყუბანის ფქვილი 1 ხარ. მესუმშირას ... ცემენტი და ეტერნიტი. რკინის ... სილის ზეთი. ელექტრო-ტეხნიკური მასალა. ნარშა. ფეტვი. გრეჩ 165 ვაგონი. მუხუდო (10 ვაგონი)

ბირჟის მოთხოვნილება.

... ლეიდები. რკინი. გასაყრელი ... სლომასი. მესუმშირას ზეთ ყუბანის ფქვილი (საკონდიტერო) შაქარი რაფინ. და ფხვნილი, ტეხნიკური ცხიმი. ჩაი. ლურსმნები. ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი

პორტლანდის ცემენტი 12 მ. 75 კ. ბოჰკაში, ფრანკო სად. ტფილისი. და 12 მ. 25 კ. ფრანკო სად. ავჭალა.

საქონლის ბაზრის განწყობილება

ხორბლეულის და პურეულის ბაზარზე განწყობილება მტკიცეა; საფეიქრო ნაწარმოების ბაზარზე—ცოტათ გაცხოველებულია; ქონის და რძის ნაწარმოების ბაზარზე—მტკიცეა; ტეხნიკური ცხიმის ბაზარზე—სუსტია. დანარჩენ ბაზრებს ცვლილება არ ეტყობა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

31 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 16 გარიგება, სულ 12915 ჩ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება

დღეს როგორც ჩერვონცების, ისე უცხო ვალიუტის კურსი უცვლელი დარჩა.

ამიერ-კავკასიის სავაჭრო სამმართველოში.

კონტრაგენტებთან გასწორება.

ა. კ. სავაჭრო გამგეობამ წინადადება მისცა თავის განყოფილებებს აგენტებს და კანტორებს პირველ ნოემბრიდან მოსპონ მატყლის ყოველივე დამზადება. წინედ დადებულ ხელშეკრულებათა ძალით მისაღები მატყლი უნდა მიიღონ იმ პირობით, რომ ამორჩეულ იქნეს ის მატყლი, რომელიც თავის თვისებით არ შეეფერება დადებულ პირობებს.

ა. კ. სავაჭრო გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვა.

თანახმად კოლეგიის 23 ოქტ. დადგენილებისა, ა. კ. სავაჭრო სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა მიენდო კომისიას ამხ. პეტრაკოვსკის თავმჯდომარეობით, რომელსაც უფლება ეძლევა ამ მუშაობისთვის მოიწვიოს ყველა სავაჭრო განყოფილების თანამშრომელი, ვისაც საჭიროდ სცნობს.

საბაჟოების მუშათა არტელის მოთხოვნილება.

საბაჟოების მუშათა არტელმა მოითხოვა „კოკოსი“-ს ზეთის გადატვირთვისათვის 7 ჩერვ. კაპ. ფუთზე. ამ მოთხოვნის შესახებ გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საგარეო ვაჭრობის კომისარიატს მოაწესრიგოს ეს საქმე, ხოლო საკითხის გადაწყვეტამდე არტელის მოთხოვნილება შეუწყნარებელი დარჩეს.

შავი ქვის ექსპორტი 1923 წ. იანვარ—სექტემბრის განმავლობაში.

ამა წლის 9 თვის განმავლობაში გატანილია საზღვარგარეთ შავი-ქვა— სულ 18.812.098 ფუთი, აქედან უბრალო შავი-ქვა—8879231 ფუთი, გარეცხილი 8630740 ფუთი და ბროკსადი—802127 ფუთი. თვეობით გატანილი ყველაზე მეტი—აგვისტოში (3189681 ფ.) და ივლისში (3183310 ფ.) ყველაზე ნაკლები—იანვარში (710533 ფ.)

შავი ქვის გაზიდვისათვის.

შავი-ქვის გაზიდვისათვის ამ ჟამად იტვირთება ფოთის ნავთსადგურში შემდეგი გემები: „ალექსანდრა“, რომელმაც უნდა წაიღოს 3 ათასი ფუთი: „ადამილა“—7500 ფ, „როზალია“—6500 ფ; „ევგენია“—4700 ფ.; „მედეა“—4000 ფ. ბათომში იტვირთება გემი „ნობლეს“, რომელიც წაიღებს 4—5 ათასს ფუთს.

ელიან გემ „ჯუზეპპე“-ს მოსვლას.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ა. | კ. ფინსახკომისარიატმა დაავალა საქართველოში რწმუნებულის სამმართველოს, რათა ს. ს. ს. რ. ფარგლებში შეეკრიბა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ა. | წ. ოქტომბრის თვის განმავლობაში ორი ტრილიონი (2 000.000.000.000) მანეთი, აღნიშნულ თანხის ანგარიშში. ა. | წ. 1-ლ ნოემბრამდე, როგორც ადგილებიდან მოსულ ცნობებიდან სჩანს,—შემოსულა ხაზინაში:

მაზრები:	მანეთებში:	ხორბლის მაგივრად ფუთობით:	შემოვიდა ნატურით	სულ შემოვიდა ხორბ. ერთ ფუთ.
ბორჩალოს მაზრ.	—700,000,000,000	170,000	—	170,000
თბილისის „	—507,000,000,000	91,726	—	91,726
სიღნაღის „	—372,286,100,000	138,230	54,517	192,747
ახალქალაქის „	—246,787,347,000	65,682	—	65,682
ახალციხის „	—198,468,108,000	43,616	—	43,616
გორის „	—180.000,000,000	71,754	27,500	99,254
დუშეთის „	—162,750,000,000	64,900	—	64,900
თელავის „	—105,000,000,000	30,000	—	30,000
სამხრეთ ოსეთში	— 51,613,114,000	21,915	6,855	28,770
თიონეთის მაზრ.	— 36,430,828,000	17,702	5,593	23,295

ასე, რომ ფულათ შემოსულია ა.|წ. 1-ლ ნოემბრამდე 2,560,335,497,000 მანეთი 715,525 ფუთი ხორბლის მაგივრათ და ნატურით შემოსულია იმავე რიცხვამდე 94,465 ფუთი, სულ-კი ხორბლის ერთეულით შემოსულია—809,990 ფუთი.

ქართლის მეხილეთა ყრილობა გორში

კვირას, 4 ნოემბერს, ქალ. გორში მიწათმოქმედების კამისარიატი მართავს ქართლის მეხილეთა ყრილობას და ხილის გამოფენას.

პროგრამაში აღნიშნულია საყურადღებო კითხვები, რომლების გარშემო ყრილობის წევრები იმსჯელებენ და საერთო ძალით გააშუქებენ მათ. ეს დიდათ შეუწყობს ხელს მეხილეობის განვითარების საქმეს ქართლში, გლეხების მუშაობას დააყენებს სწორ გზაზე და ააცდენს მათ შეცდომებს მუშაობაში.

ჩვენს რესპუბლიკებში ქართლი პირველი ალაგია, სადაც ხილი ძალიან მაღალი ხარისხის მოდის, მიწაწყლის და ჰაერის პირობები მეტის მეტად უწყობენ ხელს მეხილეობას ქართლში; აქ ადგილობრივი ჯიშების გარდა საუცხოვოდ ვარგობს უცხო ქვეყნის საუკეთესო ხეხილის ჯიშები.

გლეხკაცობამ აუღო ალღო მეხილეობას და როგორც კი დაინახეს მაგალითი, მრავალმა გააშენა ხეხილის ბაღი; ჩვენი ქვეყნის ვერც ერთ კუთხეში ვერ შეხვდები ისეთ ერთიან ხეხილის ბაღებს, როგორც ეს არის ქართლის ზოგიერთ სოფლებში. დღეს ქართლში ხეხილის ბაღის სივრცე ათას დესეტინამდის აღწევს;

ჩვენი რესპუბლიკის ნაწარმოებს განუსაზღვრელი ბაზარი აქვს საბჭოთა რუსეთში და ეს დიდათ შეუწყობს ხელს თვით წარმოების განვითარებას. საქართველო რაც უნდა ეცადოს და ბევრი ნაწარმოები იქონიოს მეურნეობის სხვადასხვა დარგში—მაგ. მევენახეობაში, მებაღეობაში, მეაბრეშუმეობაში და სხ. რუსეთის ბაზარს მაინც ვერ აავსებს და გასავალი დიდი ექნება.

როგორც კახეთი და იმერეთია მევენახეობის დიდი ალაგები, ისეა ქართლი მეხილეობის დიდი ალაგი. აქ მეხილეობა უნდა განვითარდეს და ისეთი წესრიგით მოეწყოს ბაღების მოვლა-დამუშავება, როგორც ეს არის ამერიკაში (კალიფორნიაში) და ევროპის საუკეთესო ხეხილის ალაგებში.

ამ ჟამად ქართლში მეხილეობა არ არის განვითარებული: არ არის შერჩეული ჯიშები, არ ეწყობა ხალხს ნერგი, გლეხობას აკლია ბაღის მოვლა-მოშენების ცოდნა, წამლობა არ იციან და სხვ.

ამას გარდა ჩვენი ხილი ვერ გაგვაქვს ბაზარზე შესაფერისად და არ არის ჯერ კიდევ მოწყობილი ხილის ტეხნიკური გადამუშავება ფართოთ.

გლეხი მაშინ მოეკიდება საქმეს გულმოდგინეთ, როცა მას ექნება ცოდნა და საშუალება იშოვოს ყოველივე ის, რაც საჭიროა მუშაობისათვის.

ყრილობაზე დაწვრილებით უნდა შეეხონ ქართლის მეხილეობას და ნათლად გამოარკვიონ ადგილობრივი საჭიროება. სხვა დაბრკოლების გარდა, რასაც ქართლელი მეხილე განიცდის, მას უძნელდება ხილის ჩამოტანა ტფილისში. რკინის გზის საშუალებით გადმოზიდვა იმოდენათ ძვირი და მოუხერხებელი შეიქნა ქართლელი გლეხისათვის, რომ, მაგალითად, მეჯვრისხევის რაიონიდან ის ურმით ამჯობინებს ხილის ჩამოტანას ტფილისში. ხოლო ურმით გადაზიდვა ხილს აზიანებს და გლეხი აუარებელ გაჭირვებას განიცდის გზაში.

მეხილეობის სასწავლებელი, მეხილეობის სადგური, გადაზიდვის მოწესრიგება, კრედიტი, სპეციალისტი და ინსტრუქტორი მებაღეობაში და კოოპერატიული მუშაობაში,—აი რა საჭიროება დღეს ქართლის მეხილეობას.

ყრილობაზე დაესწრება მრავალი გლეხი მებაღე და მიწათმოქმედების კომისარიატი გზავნის გამოცდილ აგრონომებს და სპეციალისტებს. ისინი შეერთებულის ძალით გამოარკვევენ პროგრამაში აღნიშნულ კითხვებს და იმედია ქართლის მებაღეობა ფართე ხასიათს მიიღებს. თვითონ გლეხებმა ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ სჯა-ბაასში და ნამდვილად აღნიშნონ თავიანთი პირვარამი.

ბ—ლი.

საქ. განათლება საქართველოში

(ამხ. კანდელაკის მოხსენება საქ. პროფკავ. საბჭოში)

28 ოქტომბერს ს. პ. კ. საბჭოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხანაგ კანდელაკის მოხსენება სასკოლო საქმის მდგომარეობაზე საქართველოში. ამხ. კანდელაკს მოჰყავს შემდეგი ციფროვანი ცნობები 1919—20 წლის პერიოდისათვის: მოწაფეთა რაოდენობა საქ. საშუალო და დაბალ სასწავლებლებში იყო 159,423 კაცი, 1920—23 წლებში ეს რიცხვი ავიდა 185,000—190,000-მდე—23—24 სამოსწავლო წელს მოწაფეთა რაოდენობა—195,000 კაცს უდრის.

განათლების მუშაკთა რაოდენობა 1920 წ. უდრიდა 5,508 კაცს, აქედან სახელმწიფო მომარაგებაზე ირიცხებოდა 60 პროცენტი, 21—22 წლებში ეს რაოდენობა იზრდება 8.022 კაცამდე, რომელნიც სავსებით სახელმწიფო მომარაგებაზე იმყოფებოდნენ.

რესპუბლიკას აქვს ორი უმაღლესი სასწავლებელი: საქ სახელმწიფო უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმი, რომლებშიაც 14,000-მდე სტუდენტი ირიცხება.

ტეხნიკუმებში სწავლობს 14,000-მდე ახალგაზრდა, რომელთაგან 11,000 ქართველია.

მოყვანილი ციფრები მოწმობს სასკოლო ქსელის გადიდებას მენშევიკურ პერიოდთან შედარებით.

ამ ჟამად სასკოლო ქსელი საქმარისად არ არის გავრცელებული, რადგან შესამჩნევად დიდია სკოლაში შესვლის მსურველთა რაოდენობა. სკოლის გარეთ დარჩენილ მოზარდთა რიცხვი 120,000 აღემატება. აუცილებლად საჭიროა სასკოლო ქსელის შემდეგი გაფართოვება, რომელსაც დასჭირდა კიდევ 1,334 მასწავლებელი.

სახ. გან. კომისარიატის ძირითადი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო სკოლების მოწყობა, რომლისათვისაც საჭიროა დიდი თანხა, რაც ამ ჟამად სახ. განათლების კომისარიატს არ მოეპოვება.

ამხ. კანდელაკს აუცილებლად მიაჩნია სახალხო განათლების საქმეში ს. მ. უ. ს. და სხვა სახ. კომისარიატების აქტიური მონაწილეობა.

შემდეგ—კომისარი წინადადებას იძლევა მთელ რიგ დაწესებულებათა და სასწავლებლების შემოკლების შესახებ იმ მოსაზრებით, რათა შეუთანხმდეს არსებული ბიუჯეტის თანახმად გასავალი შემოსავალს.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობს ამხ. ყურულაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა დიდი პროცენტი აიხსნება დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების ერთმანეთთან შეუფარდებლობით.

ჩვეულებრივ შემდეგ გავლენას აქვს ადგილი: ტეხნიკუმები უშვებენ მოუმზადებელ ახალგაზრდათა დიდ რაოდენობას მაშინ, როცა სრულიად მცირეა სასოფლო-სამეურნეო სკოლების რიცხვი, რაც ასე ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას.

ამხ. ყურულაშვილს საჭიროდ მიაჩნია რ. ს. ფ. ს. რ.-ს მზგავსად ძალზე გავრცელებულ საშუალო სასწავლებლების მკაცრი შემცირება და მათ ნაცვლად დაწყებით სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნა. ჩვენ უმაღ. სასწავლებელში მყოფი 10,000 სტუდენტი ჩვენ ქვეყანაში გამოუყენებელი დარჩება და ავსებს მხოლოდ შრომის ბირჟას.

სტუდენტთა რაოდენობა როგორც უნივერსიტეტში, ისე პოლიტეხნიკუმში უკიდურეს მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი.

კამათში მონაწილეობდენ აგრეთვე სხვა ამხანაგებიც, რომლებიც მიუთითებენ მთელ რიგ ღონისძიებაზე სახ. განათლების გასაჯანსაღებლად.

რეზოლიუცია.

ს. პ. კ. ს. მიერ მოხსენების გამო მიღებულია შემდეგი ძირითადი დებულებანი:

ა) სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა დიდი რაოდენობა ჩაითვალოს შეუწყნარებელ ფაქტად, რომლის სალიკვიდაციოდ დაუყოვნებლივ ზომები უნდა იქნეს მიღებული.

ბ) ჩვენ ეკონომიურ მოთხოვნილებების თვალსაზრისით სრულიად შეუფერებლად იქნეს ცნობილი არსებული ვითარება საშუალო განათლების მიმართ და ამიტომ აუცილებელია საშუალო სასწავლებლების შემცირება და მათ ნაცვლად სასოფლო-სამეურნეო სკოლებისა და საშუალო კვალიფიკაციის მუშაკთა მოსამზადებელი სკოლების მოწყობა.

გ) რესპუბლიკის ეკონომიურ საჭიროებასა დ უმაღლესი განათლების დარგში წარმოებულ პოლიტიკის შორის არსებულ შეუსაბამობის გამო, საჭიროთ იქნას ცნობილი ამ პოლიტიკის ამიერ-კავკასიის უმაღლეს ორგანოებთან შეთანხმება. კონკრეტიულად—საჭიროა სტუდენტების რიცხვის შემცირება როგორც უნივერსიტეტში, ისე პოლიტეხნიკუმში.

დ) აუცილებელია სამხატვრო და მუსიკალურ სასწავლებლების შემცირება და მათი სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა.

ე) მოწონებულ იქნეს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო გადასახადის შემოღება.

ვ) სახ. გან. კომ. საერთო ბიუჯეტის შეუფერებელი თეატრალური ხარჯთ-აღრიცხვა დაყვანილი იქნეს უკიდურეს მინიმუმამდე—და განთავისუფლებული თანხები მოხმარდეს სახალხო განათლების საჭიროებას. პროფსაბჭომ უარი უნდა განაცხადოს სამშაბათის უფასო წარმოდგენებზე იმავე მოსაზრების გამო. სახელმწიფო ოპერა მოხსნილ იქნეს სახელმწიფო მომარაგებიდან და გადაყვანილ იქნეს სამეურნეო ანგარიშზე.

ზ) ყოველი ღონისძიებით დაცული იქნეს სახ. გან. კომ-ის შარშანდელი საერთო ბიუჯეტი.

გადაწყვეტილია ს. პ. კ. ს. ახლობელ პლენუმზე მოსმენილ იქნეს სახ. გან. კომ. საერთო მოხსენება.

ტფილისის და მისი მაზრის შრომის სკოლებისა და საბავშვო სახლების ხელმძღვანელთა კონფერენცია

ორშაბათი, 29 ოქტომბერი.

დილის სხდომა.

საზოგადოებრივი მეცნიერება სკოლებში.

(გ. ნათაძის მოხსენება).

მოხსენებას აკეთებს გ. ნათაძე საზოგადო მეცნიერების შესახებ. მომხსენებელი ფართოდ იხილავს საკითხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღეს სწავლა-აღზრდის საქმეში საზოგადოებათ-მეცნიერების სწავლებას. შემდეგ გადადის ამ მეცნიერების მიზნებზე და საგანზე დაბოლოს მიუთითებს კონკრეტულად, როგორ უნდა ისწავლებოდეს ეს დარგი; ბოლოს მომხსენებელი მოხაზავს თვით პროგრამას, რომლის მიხედვითაც უნდა ისწავლებოდეს საზოგადოებათ-მეცნიერება ოთხწლიან შრომის სკოლაში.

მოსხენების შემდეგ იყო შეკითხვები და აგრეთვე კამათი; გამოითქვა სურვილი, რომ მოხსენება დაიბეჭდოს და გამოიცეს, რადგანაც იგი მეტად საინტერესოა და საჭირო მასწავლებელთა ფართე მასის გასაცნობად.

სამშობლო ენა სკოლებში.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვოლკოვი სამშობლო ენის შესახებ. იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს უხიცოცხლოს და სქოლასტიურ ძველ სკოლას. მომხსენებელი მიუთითებს იმ ძირითად პრინციპებზე, რომელზედაც უნდა დაემყაროს ახალ სკოლაში სამშობლო ენის სწავლება და მაგალითებით ასაბუთებს თავის დებულებებს.

კონკრეტიულ მაგალითების აღნიშვნის დროს ემყარება გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატებს და აღნიშნავს მათ ღირსება-ნაკლულოვანებას. მომხსენებელს აძლევენ შეკითხვებს და აგრეთვე უსაყვედურებენ, რომ მისი მოხსენება უფრო ზოგად ხასიათის დებულებას წარმოადგენს და არ გვიჩვენებს გზებს საკითხისადმი პრაქტიკული მიდგომისას. ამაზე მომხსენებელი უპასუხებს, რომ მისი მიზანი არ ყოფილა სამშობლო ენის მეთოდიკის გადაშლა; მას სურდა მთავარ საფუძვლების აღნიშვნა, რომელზედაც უნდა აშენდეს სამშობლო ენის სწავლება ახალ სკოლაში.

მოხსენების შემდეგ სხდომა დაიხურა.

სადამოს სხდომა.

შრომის სკოლა.

(მომხსენებელი მარ. ორახელაშვილისა).

მოხსენებას აკეთებს ამხ. ორახელაშვილი შრომის სკოლის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ყველა ის ნიშნები, რომლებსაც ვხედავთ უკანასკნელ დროს ჩვენ სკოლაში, არის თავდები იმისი, რომ ჩვენი სკოლები ძირითად გარდასახვის გზაზეა.

ახალ სკოლას ძველთან შედარებით აქვს ის უპირატესობა, რომ იგი არ არის მარტო მასწავლებელი, არამედ არის ამავე დროს აღმზრდელიც. გარდა ამისა იგი ცდილობს ცოდნა დაკავშირებული იყოს რეალურ ცხოვრებასთან. ახალი სკოლის გამოსავალ წერტილს ბავშვის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობა წარმოადგენს. სკოლა უნდა ცდილობდეს აღზარდოს თავისუფალი, ძლიერი და მებრძოლი პიროვნება, რომლის ცხოვრება აქტიურობით უნდა მოიხაზოს. მომხსენებელი ასახელებს იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან ასეთ აღზრდას და ევროპის და ამერიკის მაგალითებით ასურათებს, თუ როგორ უნდა იქნეს ყველა ეს დაბრკოლებანი დაძლეული. მისი აზრით, ყველა ძველი მეთოდები კლასების და ჯგუფების შექმნისა, ერთიანად უნდა იქმნას შეცვლილი, და ეს უკანასკნელნი უნდა აღორძინდენ ბუნებრივ და რეალურ საფუძვლებზე. თვითეული წევრი ჯგუფისა უნდა გრძნობდეს თავის თავს თავისი ამხანაგებთან ორგანიულად დაკავშირებულად. ამის საუკეთესო საშუალებათ მას **დალტინის** მეთოდი მიაჩნია. მომხსენებელი იძლევა დალტინის მეთოდის სქემას, აღნიშნავს მის უპირატესობას, რაც განსაკუთრებით გამოიხატება თვითმოქმედებასა და ნებისყოფის აღზრდაში—ერთის მხრით და მეორე მხრით დროის და მასწავლებლის ეკონომიაში, რადგანაც ერთ ხელმძღვანელს ამ პირობებში შეუძლია მრავალ-რიცხვიან ჯგუფს გაუძღვეს.

მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ ზოგიერთმა სკოლამ ამ სამოსწავლო წელში სცადოს ამ მეთოდის გატარება, ზაფხულზე მათი პრაქტიკა და გამოცდილება სხვებსაც გაუზიაროს და თუ ნაყოფი სასურველი იქნეს, ყველა სკოლებში შემოვიღოთ.

კამათი მოხსენების გარშემო.

მოხსენების გარშემო იმართება ცხარე კამათი. გ. კონიაშვილი შენიშნავს, რომ მოხსენება უფრო თეორეტიულია, ვიდრე პრაქტიკული. დალტინის მეთოდის აგრე სწრაფად შემოღება მისი აზრით შეუძლებელია. ყოველი რეფორმა თანდათანობით უნდა გატარდეს, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. დალტინის მეთოდი ეწინააღმდეგება კომპლექსიურ მეთოდს, რაც უკანასკნელ ჰეშმარიტებათ ითვლება ჩვენს სკოლებში. მოკამათე ეხება ინდუქცია-დედუქციასაც და ამბობს, რომ დალტინის მეთოდი უფრო ახლოს არის იმ ინდუქციასთან, რომელსაც ეგრე იწუნებს მომხსენებელი.

შემდეგ ლაპარაკობს ამხ. გეკკერი, რომელიც იცავს მომხსენებლის დებულებებს.

კამათში მონაწილეობენ ბახტაძე, მეტრეველი, ჯავახიშვილი, ზანდუკელი, ქაცარავა და სხვები.

ბოლო სიტყვას ამბობს მომხსენებელი, რომელიც უპასუხებს მოკამათეთ, იცავს თავის დებულებას და იძლევა ახალ განმარტებებს მოხსენების ზოგიერთ ადგილების შესახებ, რის შემდეგაც კრება იხურება.

პროფკავშირებში

აჭარისტანის პროფსაბჭოში.

აჭარისტანის პროფსაბჭოს გაფართოვებულ პლენუმზე მოსმენილ იქნა მოხსენება საბჭოთა ქვეყნების საერთაშორისო მდგომარეობისა და გერმანიის ამბების შესახებ და გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში ჩვენი ძმების—გერმანელ პროლეტარების მდგომარეობას, ჩვენ ფიცსა ვდებთ „დღევე“ გაუწიოთ მათ მატერიალური დახმარება, ხოლო „ხვალისთვის“ მზათ ვიქნეთ ფაშიზმისა და ბურჟუაზიის შავ ძალების შესამუსრავად.

კულტურული შეფობა წითელ არმიაზე.

ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობა შეუდგა წითელ არმიაზე კულტ-შეფობის პრაქტიკულ გატარებას.

ყველა სამხატვრო-სათეატრო დაწესებულებების ადმინისტრაციებს წინადადება მიეცა გაუნაწილონ წითელ არმიელებს 300 ბილეთი ყველა თეატრებსა და კინოებში ყოველდღიურად. გარდა ამისა კვირაში ერთხელ გაიმართება წითელ არმიის ნაწილებსა და კლუბებში მფრინავი კონცერტები და თვეში ორი კონცერტი სახელმწიფო კონსერვატორიაში.

პროფკავშირები და მუშკოოპი.

მუშათა ფართე მასებისათვის მუშკოოპის მოქმედების გასაცნობად, ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა მოსმენილ იქნეს ს. პ. კ. ს. პლენუმის სხდომაზე მუშკოოპის ანგარიში.

მუშკოოპის გამგეობას წინადადება მიეცა გაუგზავნოს კავშირების ცენტრ. გამგეობებს დაბეჭდილი ანგარიშები.

მუშკოოპის რწმუნებულთა ახალი არჩევნები.

ტფილისის 16 რაიონში ეწყობა მუშკოოპის რწმუნებულთა ხელახალი არჩევნები. საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელად გამოყოფილია სპეციალური კომისია.

წითელი ტრაქტირები.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო წითელი ტრაქტირების მოწყობა. ამ მიზნით მუშკოოპთან მოეწყობა საპაიო ამხანაგობანი, რომელთაც საფუძვლად დაედება მოსკოვის სახალხო კვების კავშირის წესდება.

ამხანაგობის ძირითადი დებულებას დეტალურად დასამუშავებლად, ს. პ. კ. ს. სამდივნოს დაევალა მოიწვიოს სათანადო ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი.

მუშკოოპის საადრიცხვო კომიტეტი.

ს. პ. კ. საბჭომ დაადგინა მუშკოოპის საბანკო განყოფილების საარიცხვო კომიტეტში შეიყვანოს ს. პ. კ. ს. და დამზღვევ კასის წარმომადგენელნი.

ს. პ. კ. ს. სამდივნოს დაეკისრა გადაათვალიეროს საბანკო განყოფილების ბალანსი, ხოლო მუშკოოპს დაევალა თავისი ბალანსის მუშათა პრესაში გამოქვეყნება.

ცენტროკავშირი და მუშკოოპი.

აუცილებლად იქნა აღიარებული ერთიანი მუშათა კოოპერატივის ცენტრო-კავშირში უშუალო შესვლა, რისთვისაც დადგენილ იქნა აღიძრას შუამდგომლობა ცენტრო-კავშირის წინაშე.

მუშათა სექცია ცეკავშირთან.

გადაწყდა მოეწყოს ცეკავშირთან მუშათა სექცია პროფსაბჭოს, მუშკოოპის და ცეკავშირის წარმომადგენლებისაგან.

კოოპერაციის ანარიცხები კულტფონდისათვის.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას დაევალა გამოარკვიოს, თუ რამდენად სწორად ტარდება კოოპერატიულ ორგანოთა მიერ კულტფონდისათვის ანარიცხების გადადება. პროვინციების მიმართ, კულტგანყოფილებას დაევალა თვალყური ადევნოს იმ ცირკულიარის დაუყოვნებლივი გატარებას, რომელიც გამოცემულია ცეკავშირის და პროფსაბჭოს სახელით—ადგილობრივი კულტფონდისათვის ანარიცხების გადადების შესახებ.

საზოგადოება „სამტრუდი“ და პროფკავშირები.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმმა განიხილა რა საზ. „სამტრუდის“ მიერ წარმოებული მუშაობა და მისი დამქსაქსველი გავლენა ზოგიერთ პროფკავშირზე, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1) საზოგადოება „სამტრუდის“ დღევანდელი სახით არსებობა ძლიარებული იქნას სავსებით შეუწყნარებლად, რადგან ამჟამად მოქმედი დებულება საზოგადოებაზე, ხელოვნურად იწვევს უმუშევრობის ზრდას და პროფკავშირთა რიგებში შეაქვს რღვევა. 2) სრულიად შეუწყნარებლად იქნეს ცნობილი ხელოსანთა თანამშრომლობა თავისუფალ პროფესიის ხალხთან ერთსა და იმავე ორგანიზაციაში. 3) ცნობილი იქნეს ხელოსანთა საზოგადოების არსებობა იმ ხელოსნებთან ერთად, რომელთაც შეგირდები და ამქრები ჰყავთ. 4) არსებული შეღავათები საზ. „სამტრუდის“ წევრთა მიმართ, გადათვალიერებული უნდა იქნას და გაუქმებულ უნდა იქნას ისეთი მათგანი, რომელიც ხელს უწყობს უმუშევრობის წარმოშობას. 5) წინ არ აღუდგენ იმ ხელოსნებისთვის შეღავათების დაწესებას, რომელთაც შეგირდები ჰყავთ იმ მოსაზრებით, რომ ამით ნაწილობრივად შეამცირონ უმუშევართა რიცხვი.

ყველა იმ კითხვების დასამუშავებლად, რომელთაც საზ. „სამტრუდის“ რეორგანიზაციასთან აქვთ კავშირი, გამოყოფილი იქნეს სპეციალური კომისია.

მეცნიერება და ტეხნიკა

118 საათი ჰაერში.

საფრანგეთის ცეპპელინმა „დიქსმუდ“ ამ რამდენიმე ხნის წინად დაამყარა განუწყვეტელი ფრენის ხანგრძლივობის ახალი რეკორდი. მან ჰაერში დაჰყო 118 საათი ე. ი. თითქმის 5 დღე-ღამე. დღემდის პირველობა ეკუთვნოდა ცეპპელინს L. Z. 120, რომელმაც 1917 წელს მანძილი ბულგარეთიდან ხარტუმამდე (ხარტუმი ინგლისის ახალშენის სუდანის მთავარი ქალაქია, აფრიკაში) გაიარა 101 საათის განმავლობაში. მეორე ადგილი ეჭირა ცეპპელინს R—34 გადაფრენას ედინბურგიდან (ინგლისი) ნიუ-იორკამდე. ეს მანძილი ცეპპელინმა R—34 გაიარა 93 საათში.

„დიქსმუდ“-ის მარშრუტი ასეთი იყო: გაფრინდა ტულონიდან (ნავთსადგურია ხმელთაშუა ზღვაზე) 25 სექტემბერს 8 საათზე, გადმართა ბალეარის კუნძულებისაკენ (კუნძულების ჯგუფი ესპანეთის ნაპირებთან) შემდეგ ჩაიარა ხმელთაშუაზღვის ნაპირები, ქარიშხალის გამო დაბრუნდა ბიზერტაში (ქალაქია საფრანგეთის ახალშენში—ტუნისი, აფრიკაში), შემდეგ განაგრძო გზა სიცილიისაკენ (კუნძულია ხმელთაშუა ზღვაში), გაიარა კორსიკა (კუნძულია ხმელთაშუა ზღვაში), ტულონი, მარსელი, ბორდო—პარიზი და 29 სექტემბერს, 6 საათზე დაეშვა ისევ ტულონში. დირიჟაბლზე კაპიტანს გარდა იყო ოთხი ოფიცერი და ექიმი.

„Dixmude“ გერმანული დირიჟაბლია, რომელიც ფრანგებს ხვდა წილად.

ცხოველები, რომლებიც იცვლიან სქესს.

დანიის მეცნიერმა სპარკმა და ინგლისელმა—ორტონმა ერთსა და იმავე დროს, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლათ გამოარკვიეს, რომ ზღვის ლოკოკინები (ოსტრია) წელიწადში სამ-ოთხჯერ და ხშირად მეტჯერ იცვლიან სქესს. ლოკოკინები ეკუთვნიან ორ სქესოვან ცხოველთა ჯგუფს, მაგრამ ჩვეულებრივად მოქმედობს მათი მხოლოდ ამა თუ იმ სქესის აპარატი: ცხოველი გამოყოფს ან თესლებს, ან კვერცხს. მხოლოდ მიკროსკოპის საშუალებით შეიძლება გამოარკვევა, თუ რომელ სქესს—მდედრობითი თუ მამრობითი—ეკუთვნის ცხოველი. უმთავრესად სქესი იცვლება იმისდამიხედვით, თუ როგორია გარშემო წყალის ტემპერატურა. რამდენათაც დიდიხნით რჩება წყალი ცივ მდგომარეობაში, იმდენათ დიდიხნით არის ოსტრია მდედრობითი სქესის, როცა წყალი თბება, ოსტრიას მდედრობითი სქესის ორგანოები სწყვეტს მოქმედებას და ცხოველი მამრობითი სქესის ხდება.

ქრონიკა

— **მიხალმება.** ცეკა სახელზე ქუთაისიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტის ქუთაისის სამაზრო ყრილობა მოგესალმებათ საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთ და ფიცსა ვსდებთ პირნათლად შევასრულოთ ყველა ის ამოცანები, რასაც გვაკისრებს საბჭოთა ხელისუფლება გლეხთა სოციალურ უზრუნველყოფის საკითხში.

— **გერმანიის სასარგებლოდ.** კვირას, 4 ნოემბერს, პარიკმახერების კავშირის წევრები აწყობენ კვირაობას გერმანიის მუშების სასარგებლოთ. საპარიკმახეროები ღია იქნება დილის 9 საათიდან დღის 8 საათამდე.

— **სოციალურ უზრუნველყოფის საქმის გაუმჯობესება.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა თავის საშუალებიდან ყოველთვიურად გაიღოს 2069 მან. ჩერვ. სოც. უზრ. სახ. კომისარიატის დასახმარებლად.

— **საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა ყრილობა.** ახლო ხანში ტფილისში მოწვეული იქნება საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა სპეციალისტ-წარმომადგენლების ყრილობა.

— **დახმარება ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს.** ფინანსთა სახ. კომისარიატმა ჯანმრთელობის სახ. კომისარიტს დახმარების სახით 1 ოქტომბრამდის მისცა 694,000 მან. ჩერვონცებით.

— **ბავშვთა კბილის საავადმყოფო.** ქუთაისში გაიხსნა სკოლის ბავშვთათვის კბილის საექიმო ამბულატორია.

— **აბანოების მოწყობა პროვინციებში.** პროვინციებში სანიტარულ მიზნით აბანოების მოწყობა დაეკისრა ქალ. აღმასკომს. აბანოების მოწყობა დაწყებულია ხონში, ცხინვალში, თელავში, გორში და ლიუქსემბურგში.

— **ახალი წყალსადენი.** ჯანმრ. სახ. კომისარიატის თაოსნობით სოფ. წილკანში გაიხსნა წყალსადენი.

— **სოც. უზრ. კომისარიატში.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს 15 აპრილიდან 1-ლ ოქტომბრამდე პენსიონერებისათვის მიუცია—9.861.715.000 მანეთი, სრულ ნატურალურ უზრუნველყოფაზე დაუხარჯავს—12.959.874.000 მან. ყოველთვიური დახმარების სახით მიუცია წითელარმიელების ოჯახებისათვის—4.460.080.000 მან. აქედან სხვადასხვა პირებს ერთდროულ დახმარებათ მიუღია 1.836.271.000 მან. საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების მოწყობის საქმეზე დაუხარჯავს—8.306.431.000 მან. და ინვალიდების არტელებისათვის სესხათ მიუცია—8.276.520.000 მან. ამ ცნობებში მოქცეული არ არის კომისარიატის მიერ ოქტომბერში გაწეული ხარჯები.

— **დახმარება ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლას.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა ოქტომბრის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლას მისცეს დახმარების სახით 200 მან. ჩერვონეცით.

— **თაჭედი შოფერების დაპატიმრება.** ქ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ქალაქში ავტომობილებით უწესრიგოთ და სწრაფი მიმოსვლისთვის შოფერები—ტრიბუნოვი და აირაპეტოვი დაპატიმრებულნი იქნენ თითო თვით.

— **დახმარება მცხეთის სახალხო სახლს.** თანახმად მცხეთის აღმასკომის შუამდგომლობისა, ქალ. აღმასკომმა დაადგინა მცხეთის სახალხო სახლს დახმარების სახით მისცეს 300 მილ. მანეთი.

— **სტიპენდიანტები — კოოპერატიულ კურსებზე.** ა. | კ. მომხმარებელ საზოგადოების კოოპერატივმა დაადგინა თავის ხარჯზე აიყვანოს ის სტიპენდიანტები, რომლებიც მოისურვებენ კოოპერატიულ კურსებზე შესვლას.

— **„კოოპერაცია საქართველოში“.** გამოვიდა და იყიდება ა. მ. ერქომაიშვილის მიერ შედგენილი „კოოპერაცია საქართველოში“. წიგნი გამოცემულია ცეკავშირის მიერ და შეიცავს 290 გვერდს.

— **მტკიცე შტატების დაწესების შესახებ.** სრ. საქ. ცენტრ. აღ. კომიტეტმა მიიღო შრომის სახ. კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი მტკიცე შტატების დაწესების შესახებ.

— **დახმარება სომხეთს.** საქართველოში არსებულ სომხების დამხმარე კომიტეტმა პარიზიდან სომხების დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე პოღოს ნუბარ-ფაშისაგან მიიღო 1,000 გირ. სტერლინგი სომხეთის სასოფლო-მეურნეობის აღსადგენათ.

— **გლეხთა ურთი-ერთი დამხმარე კომიტეტებისათვის.** სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობით მიმართა ა. კ. სამურსათო კომისარიატს, რათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან შემოსული თანხის 10 პროცენტი გადადებული იქნას გლეხთა ურთიერთ შორის დამხმარე კომიტეტების სასარგებლოთ.

— **ნაძალადევის კოოპერატივი.** ა. | კ. მომხმარებელ საზოგადოებამ გადაწყვიტა ნაძალადევს კოოპერატივთან გახსნას საყასბო, საიდანაც რკინის გზის მუშა მოსამსახურეებს იაფ-ფასებში მიეცემათ ხორცი.

— **ძუძუ-მწოვარა ბავშვების ჯანმრთელობის შემოწმება.** მიმდინარე წელს შემოწმებულ იქნა ჯანმრთელობის მხრივ 12,244 ძუძუ მწოვარა ბავშვი. აქედან 887 ბავშვს აცრეს ყვავილის წინააღმდეგ.

— **შეღავათი წყალზე.** უმუშევართა დაზღვევის განყოფილებამ დაიწყო მოწმობების გაცემა უმუშევრებზე, რომლის ძალით უმუშევრებს ეძლევათ უფასო წყალი.

მუშათა ცხოვრება

ამხ. ბაგრატ მაჩაიძე
(მის სახელობის კლუბის გახსნის გამო)

მძური სალამი

(ძღვნად ამხ. ბაგრატ მაჩაიძეს).

სალამი, ძმაო, ბაგრატავ!
ქება შენს ღვაწლსა გმირულსა
აყვავება და დიდება
შენ სახელობის ნორჩს კლუბსა!—
ღარიბ-ღატაკი გლეხის შვილს
ბევრი გინახავს სიმწარე:
სიმშილ-სიტიტვლე ბორკილი
ციხე, ცხოვრების სიმყრალე...
მაგრამ შენ შეუპოვრადა
მედგრად ებრძოდი ჯალათებს,
ურო-ჩაქუჩით უშიშრად
ტახტებს უნგრევდი მტარვალებს...

——

დაინგრა უსამართლობა,
თან გაქრენ მემამულები...
დამარცხდენ შავი ძალები
და აღდგენ დაჩაგრულები...
დღეს მხოლოდ მუშა ბრძანებლობს
ფაბრიკა—ქარხანებდა
და გლეხი თავისუფალი
უზომო მიწა-წყალზედა...
აღსრულდა შენი წადილი.
გამართლდა შენი შრომანი...
აწ კი გისურვებთ, სიცოცხლე
რომ გექნეს მრავალწლოვანი!

ლითონის გედი.

—

ამხ. ბაგრატ ჩაიძე

(მის სახელობის კლუბის გახსნის გამო).

თანახმად მელითონეთა კავშირის წარმოება-დაწესებულებების კულტ-უჯრედების კონფერენციის 4 ოქტომბრიდან დადგენილებისა ყოფილ „ზომონდი“-ს კლუბს ამ ჟამად მელითონეთა კავშირის კლუბს სახელად ეწოდება „კლუბი ამხ. ბ. მაჩაიძის სახელობისა“.

ვინ არის ამხ. ბაგრატა?

ამხ. ბაგრატ მაჩაიძე ამ ჟამად მელითონეთა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარეა, პროფესიით მუშა-ხელოსანი (მელითონე).

ამხ. ბაგრატი დაიბადა 1891 წ. გლეხის ოჯახში სოფელ ჭიბრევში. (რაჭის მაზრა).

1900 წ. 9 წლის ბაგრატა მშობლებით გადმოსახლდა ტფილისში სამუშაოზე მიწის უქონლობისა გამო.

ამხ. ბაგრატ ჯერ სწავლობდა საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ სახელოსნო სკოლაში, საღამოობით კი მუშაობდა 11 საათამდე კერძო სამექანიკო სახელოსნოებში სრულიად მცირე ხელფასზე. ასე მუშაობდა ის 1908 წლამდე.

1907 წ. შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბოლშევიკების ფრაქციაში და მუშაობდა ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონში. იღებდა მხურვალე მონაწილეობას სალიტერატურო დარგში „პატარა მესტვირე“-ს ფსევდონიმით.

1908 წ. არალეგალურ ლიტერატურის გავრცელებისათვის ამხ. ბაგრატ დაპატიმრებულ იქნა 6 თვით ამხ. მულინთან ერთად. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის შევიდა იარალოვის ქარხანაში, სადაც ასრულებდა პარტიულ მოვალეობასაც მე-6 რაიონულ კოლექტივში. შემდეგ მუშაობდა ღვინის საწყობში „კახეთი“-აში როგორც ბოთლების მრეცხავი, საიდანაც დათხოვნილ იქნა გიორგი ომიაძესთან ერთად 1911 წ. ამხ. ბაგრატ სცდილობს შევიდეს ჯერ რკინის გზაზე, შემდეგ არსენალში, მაგრამ არც ერთში და არც მეორეში ვერ მოუხვდა სამუშაოზე დადგომა, რადგანაც იმ ხანებში ჟანდარმერიის სამმართველოს ეჭვს ქვეშ იმყოფებოდა.

ამიტომ ის დგება კერძო სახელოსნოში და იღებს მონაწილეობას ქ. ტფილისის წყალსადენის სახელოსნოს მუშათა კავშირის ორგანიზაციაში.

1914 წ. გ. ქ. გედევანოვის მეოხებით ამხ. ბაგრატი იწყებს მუშაობას არსენალის მე-8 მბრუნავ სახელოსნოში, სადაც ის მუშაობს ხალხის განთავისუფლებისათვის ამხ. ლეონტი მამალაძესთან ერთად მიუხედავად პარტიულ სხვადასხვაობისა გამო.

1917 წ. ბ. მაჩაიძეს ირჩევენ საზღვრო კომიტეტის წევრად.

1918 წ. მთელ თავის დროს მხოლოდ პარტიულ მუშაობას ანდომებს, იღებს რა მონაწილეობას ტფილისის კომიტეტში და მელითონეთა კავშირში, სადაც ის ითვლება გამგეობის თავმჯდომარედ.

12 თებერვალს 1918 წ. ამხ. ბაგრატი დატუსაღებულ იქნა ალექსანდროვის ბაღში მიტინგის მოწყობისათვის 6 თვით და ვადამდე გაანთავისუფლეს იგი ავადმყოფობისა გამო.

1918 წ. მელითონეები და ელექტრიკები შეერთდენ ერთ კავშირში ამხ. ნიკო კიკნაძის თავმჯდომარეობით, მაგრამ მისი დატუსაღებისა გამო ამხ. ბაგრატა არჩეულ იქნა თავმჯდომარედ.

1920 წ. 17 მაისს საქართველოსა და რუს. სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. შორის დადებულ ხელშეკრულებისა გამო სხვა ამხანაგებთან ერთად ბაგრატა მაჩაიძეც გამოშვებულ იქნა ციხიდან. ამ დროს მას ირჩევენ ცენტ. ფრაქციის თავმჯდომარედ, და ამავე დროს არის პარტიის ცენტ. კომიტეტის და ტფილისის კომიტეტის ბიუროს წევრადაც,

ამავე წლის ნოემბერში ამხ. ბაგრატს ისევ ატუსაღებენ და ის განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ 1921 წ. 25 მარტს ბათუმის ციხიდან საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. საქართველოს გასაბჭოებიდან ამხ. ბაგრატა ისევ იწყებს მუშაობას კავშირში, შემდეგ ირჩევენ ალმასკომის პრეზიდიუმის წევრად, მასთან მასვე მიენდო სამმართველოს განყოფილების გამგეობა. 1922 წ. ოქტომბერში მას ირჩევენ სრულიად საქართველოს საბჭ. რესპ. მელითონეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარედ, 5 თებერვალს 1923 წ. ხელახლა ირჩევენ ამ თანამდებობაზე. შემდეგ ამხ. ბაგრატ იგზავნება დელეგატად სრულიად რუსეთის მელითონე მუშათა ყრილობაზე ქ. მოსკოვში, სადაც არჩეულ იქნა სრულ. რუსეთის მუშა-მელითონეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის წევრად.

გაუმარჯოს მელითონე მუშას ამხ. ბაგრატ მაჩაიძეს, გაუმარჯოს მის პროფესიონალურ მუშაობას! გაუმარჯოს მუშების საყვარელ მეგობარს, ბაგრატას!

მუშკორი-მელითონე.

—

ქალაქის სადეზინფექციო კამერაში

დასახელებულ სადეზინფექციო კამერას ყავს ორი მეეზოვე—დარაჯი. უკანასკნელთა რაოდენობა არაა საკმარისი ამ დაწესებულებისათვის, რისთვისაც მათ უხდებათ ნორმალურ დროზე გადაჭარბებული მუშაობა. ისინი ყოველდღიურად მუშაობენ 12 საათს. ამისათვის მეეზოვებს ეძლევათ არა ზედმეტი საათების გამონაგარიშებით მომეტებული გასამრჯელო, არამედ მათ აძლევენ შედარებით გადიდებულ კატეგორიით ხელფასს. მაგალითად ბევრ ალაგას ასეთ დაბალ მოსამსახურეებს ეძლევათ ხელფასი მესამე სატარიფო ხარისხით. აქაურ მეეზოვეთ ჯამაგირებს აძლევენ მეექვსე ხარისხით. მაგრამ სამწუხაროდ—მეეზოვებს 12 საათის განმავლობაში უხდებათ მუშაობა.

ეს კარგად ესმის თვით წარმოების ადმინისტრაციას, მაგრამ თუ ნორმალური სამუშაო დროს მის მიერ გაეწეოდა ანგარიში, მაშინ ამ მეეზოვეთა შტატი მას უნდა გაედიდებია. ამ შემთხვევაში კი მათი განაკვეთების ხარისხები უნდა შეემცირებია და მეეზოვებს კი ძალიან დაკლებული ჯამაგირები მიეცემოდათ. ამიტომ უკანასკნელების თანხმობით ძალაში დარჩა 12 საათის მუშაობა ყოველდღიურად. ეს გარემოება ეწინააღმდეგება შრომის კანონების დაცვის პირობებს, მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერად გამოყენების საქმესაც, და ამიტომ უნდა გამოინახოს უკეთესი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან.

მუშკორი მ. ა.

—

ბოლო უნდა მოეღოს

სადგურ მცხეთაში მოსახლეობის უმრავლესობას რკინისგზის მოსამსახურეები შეადგენენ. მათში კი არ არის ისეთი მოსამსახურე, რომელსაც არ ყავდეს ან ძროხა, ან თხა და სხვა. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ამ საქონლის პატრონები იჩენენ დაუშვებელ ბარბაროსობას.

დაბინდება თუ არა, ეს შეუგნებელი პირები ამტვრევენ მშვენიერ ხეებს ძროხის და თხის საჭმელად. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მინდორში საძოვარი ბლამად საკმარისად მოიპოვება. ესენი ამითი არ ჯერდებიან და აფუჭებენ მშვენიერ ბუნებით მოცემულს სიმდიდრეს. რკინ. გზის სამმართველოს აქ ყავს თავის საკუთარი მებაღე, რომელიც ყველაფერს ამას ხედავს, მაგრამ რაღაც გულგრილად უყურებს ამას და არ ცდილობს ხელი შეუშალოს ამ შეუგნებელ პირებს.

მუშკორი დანდუროვი.

—

შეუგნებელი ჭირისუფლობა მტრობაზე უარესია

გთხოვთ მომითავსოთ თქვენ პატივცემულ გაზეთში შემდეგი: გაზ. „მუშ“-ის 284 №-ში მოთავსებულია პატარა ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ „ვიტანჯები“ და დაუსვენებლივ ვმუშაობ, და ავტორი ამ პატარა ცნობისა იჩენს რა „გულშემატკივრობას“ ჩემდამი, მიმართავს მექდავთა კავშირს, რომ მან მაინც მიაქციოს ყურადღება ამ მოვლენას. მე არავისთვის არ დამივალებია ჩემზე ასეთი „მზრუნველობა“ გაეწია. ამისთვის არსებობს ადგილკომი და მასთან შრომის დაცვის წარმომადგენელი, რომლებმაც კარგად იციან, თუ რამდენიც უნდა ვიმუშაო. გარდა ამისა ღამის დარაჯობისათვის მე ვიღებ მე-6 ხარისხით, კანონით კი მეკუთვნის მე-4 ხარისხით, მაშასადამე შრომის ხელფასს ვიღებ ორი ხარისხით ზედმეტს იმ შრომისათვის, რომელსაც მე ვეწევი. აქვე გულახდილად უნდა მოვახსენო ამხ. ს. ზარნელს, რომ ასეთი მისი გამოქომაგება ჩემს წვრილ ცოლშვილს, რომელიც 5 სულისაგან შესდგება, ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს და მე არავითარი უკმაყოფილება ჯერ არ განმიცხადებია და ასეთი უმუშევრობის ხანაში მე ჩემი შრომით ძლიერ კმაყოფილიც ვარ, ამას თანავე ყოველთვიურად ვღებულობ 3 გირვანქა კარაქს.

მე ვმუშაობ საღამოს 6 საათიდან დილის 5 საათამდე, და არა საღ. 5-დან დილის 7-მდე, როგორც ცნობაშია მოყვანილი. აი სწორედ ორი ხარისხით მეტს ვიღებ იმ ზედმეტი 3 საათის დარაჯობაში, რომელსაც მე ვეწევი.

დარაჯი ქიტიაშვილი.

—

თვითმშრომელთა თეატრი

საზაფხულო სეზონი თვითმშრომელთა კლუბში დაიხურა სექტემბრის ბოლო რიცხვებში და მის აქეთ დღემდე სწარმოებდა თეატრის შეკეთება საზამთრო სეზონისათვის, რომელიც ამ დღეებში დამთავრდება. თეატრთან არსებული ქართული დრამატიული სტუდია ამხ. განელის ხელმძღვანელობით ამზადებს რევოლიუციონურ პიესას „მსხვერპლს“, რისთვისაც მზადდება ახალი დეკორაციები. იქვე არსებული მომღერალთა გუნდი ამხ. კრავეიშვილის ლოტბარობით გამართავს კონცერტებს და აგრეთვე ოჯახურ საღამოებს კლუბის წევრთათვის.

თეატრთან იქნება სამკითხველო, კინო, ლოტო, პირველხარისხოვანი ბუფეტი და სხვა.

ქართულ დასის გარდა აქ იმუშავებს სომხური და რუსული კოლექტივები.

საზამთრო სეზონი გაიხსნება ამ დღეებში „მსხვერპლის“ დადგმით.

მუშკორი გარო.

— **შრომის ბირჟა.** 1 ნოემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 544, ახლად ჩაეწერა—97, სამუშაოზე გაიგზავნა—63 უმუშევარი.

შემთხვევები.

— **უბედური შემთხვევა.** 31 ოქტომ საღამოს 5 საათზე, რუსთაველის პროსპ. და ბარიატინის კუთხეში უპატრონოთ მდგარი საბარგო ავტომობილი, შემთხვევით გამვლელმა მთვრალმა შოფერმა კიზინსკიმ აამუშავა და გაუშვა, ავტომობილი დაეჯახა 15 წლის ბავშვს და სასიკვდილოთ დააშავა. ავტომობილის შოფერი ასრიევი და აღნიშნული კიზინსკი შეიპყრეს.

— **ხიდიდან გადავარდნა.** 31 ოქტ. საღამოს 7 საათზე, რკინის გზის ხიდიდან უცაბედათ გადავარდა მოქ. არშაკ არუთინოვი, რომელიც სასიკვდილოთ დაშავდა.

— **დაჭრა.** 30 ოქტ. ღრმაღელეში მცხოვრებ მიხ. შარბურკინის ცოლი ანნა, რევოლვერის ტყვიით დასჭრა ნიკოლოზ კანდელაკმა.

— **ქურდობა.** 31 ოქტ. გაქურდეს გიორგი მანჯავიძის ბინა (მცხ. რესპ. მთავარ სავადმყოფოს ეზოში), საიდანაც წაიღეს რამდენიმე მილიარდის ნივთები. ქურდი შეიპყრეს ამავე ეზოში მცხოვრები ბორის ბაბილიევი.

ხელოვნება

საღამო ლადო მესხიშვილის მოსაგონებლად.

ლადო მესხიშვილი—ეს უდროოთ გადაჭრილი მუხაა ქართული თეატრის ხელოვნებაში.

სიკვდილის შემდეგ—იგი ერთხელ კიდევ აღსდგა მაინც ქართულ სცენაზე და მთელ საღამოს გაისმოდა მისი ძვირფასი სახელი.

ჯერ კიდევ ფერ-შეუშლელია მისი ხსოვნა. მისი სახელის ანდამატურმა ძალამ სტიქიურად მოაზღვავა მთელი საზოგადოება და რუსთაველის ბარაქიან თეატრს სულ ლივლივი დააწყებინა.

აიხადა ფარდა. თქვენ თვალწინ სდგას ლადოს მთლიანი და მოხდენილი სურათი—მწვანეულობით შემორაზმული.

იგი უტყვია ყურთათვის, მაგრამ—მეტყველი გულთათვის.

შალვა დადიანმა გადაგვიშალა თვალწინ ყველასაგან დაფასებული დიადი ნიჭი ლადოსი.

სხვადასხვა როლების აღწერით მან დახასიათა მრავალსახიერი და სრულქმნილი ბუნება ლადოსი და თან ჩაჭარბა თავისი პირადი მოგონებანიც.

მეორე ფარდა ეკუთვნოდა—„ღალატი“-ს მეორე მოქმედებას.

ეს რომ ყოფილიყო ჩვეულებრივი წარმოდგენა, „ღალატი“-ს ამ გვარ თამაშს არავინ შეიწყნარებდა.

მაგრამ რადგან ამ დადგმას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი აქვს, ამიტომ არც მივუდგებით საფუძვლიან დაფასებით.

მხოლოდ ერთი რამ კია ცხადი: ისტორიულ პიესების დადგმაში ძველი თეატრის ბუმბერაზებს ტყუილად შეეცილებიან ჩვენი ახალგაზრდა, იქნებ ჯიშიანნი, მაგრამ ჯერ დასამუნობი ძალები.

გაიანეს როლს ასრულებდა მესხიშვილის ასული—ვარო.

მესამე ნაწილში—ისევ სურათი პირველის ფარდისა.

თარხნიაანთ გუნდის სევდიანათ მორაკრაკე ჰანგებმა მიანელეს ყურთა სმენა ხალხისა.

მსახიობ ელიოზიშვილმა გაგვაგონა დათოს არია „ღალატი“-ს ოპერიდან. ვ. ანჯაფარიძემ კი წაიკითხა გრიშაშვილის პატარა ლექსი-ლადოსადმი მიძღვნილი.

მეოთხე ნაწილში დადგეს რუსულად რაბინდრანათ თაგორის პატარა სცენა: წმინდა მამათა ცდუნება ქალის სილამაზით.

ქალის როლს ჩვეულებრივის სიცოცხლითა და ხალისით ასრულებდა მესხიშვილის ასული.

მეხუთე ფარდაში საუცხოვო იყო სევდის პანტომიმა:

სიკვდილის სიბნელეში ნათლით მოსილ სახელის ანუ მეგლისადმი ტანჯვითა და გოდებით აღავლენს თავის არსებას განუყრელი სიყვარული და პატივისცემა.

ბოლო სურათში თეატრის მთელი შემადგენლობა სცენაზე იყო ლადოს წინ.

სადა, მგრძნობიერი და მოხდენილი იყო ეფ. მესხის მოკლე სიტყვა.

ლადოს მოსიყვარულე მოწაფეებმა რიგ-რიგათ შეამკეს მისი სურათი ყვავილებით, ამბორით, ცრემლებით...

დელი.

სახელმწიფო ოპერა

„დუბროვსკი“.

პარტიები საანგარიშო წარმოდგენაში განაწილებული იყო საქმისა და ამა თუ იმ შემსრულებელის არტისტიულ ნიჭის დიდის ცოდნით.

მაშას პარტიას მღეროდა მოქ. ბოკოვა; ჩვენის აზრით მომღერალის ხმა არ შეიძლება ჩაითვალოს პირველ ხარისხოვნათ, მაგრამ მომღერალის არტისტიულობა, მისი განსაკუთრებული მუსიკალობა და პარტიების სცენიური გადმოცემა მხატვრულ სიმაღლეზეა.

საუკეთესო სცენაა—ტყეში (მშვენივრათ იყო შესრულებული არია „წყნარ სიჩუმეში“), სადაც მომღერალი ესე მოხერხებულათ ხმარობს მშვენიერ mezzavoce; საუცხოვოა აგრეთვე უკანასკნელი სცენა, როდესაც მაშა გაიგებს, რომ დეფორჟი დუბროვსკია; აქ მთელი გამმა იყო განწყობილების. ლირიზმით და ტემპერამენტით სავსეა უკანასკნელი სცენა დუბროვსკისთან და ფინალის სცენა—საყვარელ ადამიანის გვამთან. კარგია გრიმი და მთელი გარეგნული გამოხატულება. მსახიობი მთელ პარტიას დამთავრებულათ მღერის.

მსახიობ ევლახოვის მთავარი ღირსება—ეს მისი ინტუიციაა. მსახიობი ერთბაშათ ვერ შედის როლში. დასაწყისში არის უფერული ადგილებიც, მაგრამ მოქმედების განვითარებაში ევლახოვს თანდათან უფრო იტაცებს შესრულება და მსახიობი იტაცებს აუდიტორიასაც. განწყობილება იზრდება და დრამატიულ მომენტში კულმინაციურ წერტილს აღწევს, ასე იყო ოპერა კარმენში, პიკის ქალში და ასე იყო აგრეთვე დუბროვსკიშიაც.

უკვე მეორე აქტიდან აღარ არის ევლახოვი, არის მხოლოდ ვლადიმერ დუბროვსკი. მშვენივრათ ასრულებს მსახიობი არიას პორტრეტთან, მაგრამ ჩვენ გაგვიტაცა არა si naturel-მა, რომელსაც ადვილათ იღებს მომღერალი ამ არიაში, არამედ მთელ არიის მოფიქრებულათ შესრულებამ; საუცხოვოა მთელი სცენა სიმღერის გაკვეთილზე და კარგია აგრეთვე შემდეგი სცენაც (კვარტეტი), მაგრამ ყველაზე უკეთესია უკანასკნელის სცენა მაშასთან და სიკვდილია სცენა.

აქ ევლახოვი მოქმედობს აუდიტორიაზე ლირიზმით და გულწრფელობით თუ ყველაფერს ამას დავუმატებთ მსახიობის განსაკუთრებულ მშვენიერ გარეგნობას, ჩვენთვის გასაგები გახდება ის დიდი წარმატება, რომელიც წილათ ხვდა მსახიობს.

უფერულია პირველი აქტის გრიმი, საჭიროა მისი შეცვლა. კარგია გრიმი და მთელი გარეგნული გამოხატულება დანარჩენ მოქმედებებში.

მოქ. ისეცკიმ სისწორით გადმოგვცა მოხუც ანდრია დუბროვსკის სახე. მშვენივრათ იყო შესრულებული არიოზო.

მოქ. ელიოზაშვილი ვერ არის მტკიცე ტროეკუროვის პარტიაში; საჭიროა პარტიის დამუშავება, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრივ; აუცილებელია პარტიის უფრო ახლო შეთვისება, რადგან მიუხედავათ მისი ეპიზოდიურობისა—პარტია მაინც დამახასიათებელი და მკაფიოა.

მეტად ლამაზი ხმა აქვს (basso contante) მოქ. ბლაგოობრაზოვს (თავადი ვერეისკი). გრიმი უფრო ძველ სტილზე უნდა იქნეს გაკეთებული. არიოზოს „ცხელ შუადღისას“ მოქ. ბლაგოობრაზოვი ასრულებს განსაკუთრებული მუსიკალობით. სასურველია მოუსმინოთ მომღერალს უფრო პასუხსიმგებელ პარტიებში.

დამახასიათებელია მჭედელ არხიპის პარტიაში—მოქ. დემიანენკო. ნიჭიერი მსახიობი ყოველ უმნიშვნელო პარტიიდან ჰქმნის მინიატურას.

სუსტია, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრივ, ფრანგ დეფორჟის პარტიაში მოქ. იგონინი. საჭიროა უკეთესი ფრაზიროვკა, ხმოვანების უფრო მეტი გადმოცემა და შეუწყნარებელია ფრანგული ენის ასე დამახინჯება.

მართალია მოქ. სტრიჟენოვა ეგოროვნას პარტიაში. სცენაში გუნდთან მისი ხმა მკაფიოთ უნდა მოისმოდეს.

კარგია ორკესტრი ვანო ფალიაშვილის ხელში. გამოყოფილია დინამიური დასურათებანი. დიდის განწყობილებით იყო შესრულებული მშვენიერი intermezzo „ღამე“.

უფერულათ იყო დადგმული რუსული ცეკვა. სამწუხაროა, რომ გამოტოვებულია მუსიკის მხრივ მშვენიერი contredanse.

მოქ. ქურხული და კურბატოვი სრულიად მისაღები არიან ეპიზოდიურ პარტიებში.

კარგად იყო დადგმული ცეცხლის სცენა.

მუსიკოსი.

— **ლიტერატურული ორშაბათი.** ორშაბათს, 5 ნოემბერს, საღამოს 6 საათ. ხელოვნების სასახლეში პოეტი პეტრე სამსონიძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „დემოკრატიული ჰანგები ქართულ პოეზიაში“. მოხსენების შემდეგ კამათი. შესვლა უფასოა ყველასათვის.

პროვინციაში

ყაზბეგის რაიონი (დუშეთის მაზრა)

ამა წლის 27 ოქტომბერს შესდგა ყაზბეგის სოფლის უპარტიო გლეხთა კრება. კრებას დაესწრო დაახლოვებით ასოცი კაცი. თავმჯდომარედ იქნა არჩეული ამხ. ვ. ფირცხალაური, მდივნად მ. ყაზბეგი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: მოხსენება მომენტზე და გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატისათვის დახმარების აღმოჩენა. მომხსენებლად გამოდის ყაზბეგის რაიინსტრუქტორი ამხ. მამალაძე, რომელმაც ფართოდ გააშუქა დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, აღნიშნა თუ რა გმირულ ბრძოლას აწარმოებს გერმანიის პროლეტარიატი ფაშისტური რეაქციის და გარეშე მტრების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სთქვა მომხსენებელმა, დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვისაც, რომლებმაც უნდა აღმოუჩინონ გერმანიის პროლეტარიატს ყოველგვარი დახმარება. კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია გერმანიის მუშათა კლასისათვის დახმარების გაწევის შესახებ და აირჩია თავის შემადგენლობიდან ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა შეწირულებას მოგროვება. კომისია იმავე დღეს შეუდგა ამ საქმის მოგვარებას. ასეთი მოხსენება ამხ. მამალაძემ ჩაატარა თითქმის ყველა სოფლებში. ყველა სოფლებში გროვდება შემოწირულება.

დამსწრე.

განათლების მუშაკთა სახლის დაარსება ძ. ხაშურში

ხაშურის მუშაკთა კავშირის წევრებმა ამ რამოდენიმე თვის წინეთ განიზრახეს დაეარსებიათ ხაშურში განათლების მუშაკთა სახლი. ეს განზრახვა უკვე სისრულეშია მოყვანილი. დიდ ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლისთავზე, 7 ნოემბერს გაიხსნება აღნიშნული სახლი, ლიბკნეხტის ყოფილ კლუბში, გან. მუშ. სახლთან დაარსებულია სხვადასხვა წრეები, სახელდობრ: მარქსისტული, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ლიტერატურული, პედაგოგიური, დრამატიული და სხვ. იქნება სახლთან სამკითხველო-ბიბლიოთეკა. განათლების მუშაკთა სახლში მოსავსებული იქნება აგრეთვე მასწავლებლების ადგილკომი და დამხმარე კასის გამგეობა. აქვე იქნება 3 ბინა საწოლით ჩამოსულ მასწავლებლებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი თანაგრძნობით შეხვდენ ამ სახლის დაარსებას ტფილისის ყველა დაწესებულებები. გან. მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შესწირა მას 500.000.000 მანეთი (ორი თვის წინეთ), საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკამ შესწირა 100 წიგნი, პოლიტიკური ხასიათისა, ამ. კავკ. რკ. გზის პროფ-კავშირმა დაუთმო დროებით სახმარებლად 38 წიგნი პედაგოგიური ხასიათისა.

ასეთივე დახმარება აღუთქვეს—ზაკრაიკომმა, სრულიად საქ. პროფკავშირთა საბჭომ და გან. კომისარიატმა, რომლენიც, ვიმედოვნებთ, შეასრულებენ თავიანთ დაპირებებს. დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ აგრეთვე ადგილობრივი დაწესებულებები: პარტიული კომიტეტი და აღმასრულებელი კომიტეტი. ამ უკანასკნელმა აღუთქვა დახმარება სახლს შეშით, ფეჩებით და ელექტრონის სინათლით. გარდა ამისა ის შეუდგა სახლის შეკეთებას ყოფილი კლუბი დაყოფილია რამდენიმე ოთახებათ, შეუდგენ შეთეთრებას და მზად იქნება ყოველივე 7 ნოემბრისათვის.

დიდი შრომა და უნარი გამოიჩინეს ამ სახლის დაარსებაში განსაკუთრებით ადგილკომის წევრებმა და მასწავლებლებმა ბეს. ძნელაძემ და ალ-რე კვაჩაძემ. უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ ამ რამოდენიმე დღის წინეთ პრესაში იყო გამოქვეყნებული ყალბი ცნობები, ვითომც სახლი ხაშურში გახსნილია გორის მაზრის განათლების განყოფილების გამგეობის თაოსნობით, რაც სრულებით მოკლებულია სიმართლეს. გორის გან. განყ. და სამაზრო კავშირს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია აღნიშნულ გან. მუშ. სახლის გახსნაში. ხაშურის რაიონის განათლ. მუშაკთა კავშირის წევრები და მისი ადგილკომი ულრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც თანაგრძნობით შეხვდა გან. მუშ. სახლის დაარსებას და შეწირულებები გაიღეს მის სასარგებლოთ, ამასთან იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც არ მოაკლებენ იგინი თავიანთ ზრუნვას.

Acus.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენ. აღმასკომის დადგენილების № 68 მესამე მუხლის შეცვლა.

დადგენილების № 68 (თიანეთის მაზრის ადმინ. დაყოფის შესახებ) მესამე მუხლი: „წინა და უკანა ფშაველი, იმიერი და ამიერი ხევსურეთი და საკუთრივ თიანეთი შეერთებულ იქნან აგრეთვე ტფილისის მაზრასთან“ შეიცვალოს შემდეგნაირად:

„3. წინა და უკანა ფშაველი, იმიერი და ამიერი ხევსურეთი და საკუთრივ თიანეთის რაიონი შეერთებულ იქნან დუშეთის მაზრასთან“.

ს. ს. ცაკის მდივანი საბაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტთა კომფრაქციის ბიურო იწვევს დღეს, 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მე-3 კურსის აუდიტორიაში („კრუჟოკი“)

ფრაქციის საერთო კრებას

ვინაიდან დღის წესრიგი მნიშვნელოვანია, სავალდებულოა დასწრება კომუნისტური პარტიის და კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრ და კანდიდატ სტუდენტთა, რომელნიც იმყოფებიან ტფილისის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტზე. კრება დაუგვიანებლად გაიხსნება.

ვისაც დღევანდლამდე (საპატიო მიზეზების გამო) რეგისტრაციაში არ გაუვლია, ვალდებულია ადრე გამოცხადდეს და რეგისტრაციაში გაიაროს

პასუხისმგებელი მდივანი ვულფოვიჩი.

სამშაბათს, 3 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე

შესდგება საორგანიზაციო კრება „გერმანიის ბავშვთა დამხმარე ლიგისა“.

მოიწვევიან წარმომადგენელნი: ქალთა განყოფილებისა, სახალხო განათლებისა, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირისა, პროფკავშირთა საბჭოსი და სპარტაკისა.

ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე მ. ესსენი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 4-ე რაიკომი შაბათს, 3 ნოემბერს დილის 10 საათზე რაიკომის ბინაზე იწვევს რაიკომის ახლად არჩეულ წევრთა და კანდიდატთა პლენუმს. ყველა არჩეულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

მე-4-ე რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: ხაცკევიჩი.

— ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტების კომფრაქციის ბიურო იწვევს შაბათს ა—წ. 3 ნოემბერს. საღამოს 5 ნახ. საათზე, 3 კურსის აუდიტორიაში („კრუჟოკ“-ი)

ფრაქციის საერთო კრებას.

დღის წესრიგში დასმულ საკითხების მნიშვნელობის გამო, კომპარტიისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა იმ წევრებისა და კანდიდატების დასწრება, რომელნიც ითვლებიან სახელმწიფო პოლიტ.-ინსტიტ. საინჟინერო ფაკულტეტების სტუდენტებათ და თანამშრომლებათ,—სავალდებულოა. კრება გაიხსნება დაუგვიანებლივ.

ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი ვულფოვიჩი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— 6 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის წრის მეცადინეობა ქართულ ენაზე.

— 10 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, ამხ. გიგო ნათაძე დაიწყებს ლექციების მთელ ციკლს ქართულ ენაზე. თემა: საზოგადოებრივი მეტყველება.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.

განცხადებანი

ქალ. ტფილისის მე-4 და მე-5 რაიონების სახალხო სასამართლოთა

განაჩენების სასამართლო აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი აცხადებს, რომ 1923 წლის 10 ნოემბერს, დილის 10 საათზე, კათოლიკების ქუჩაზე, სახლი № 17, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ქიტესა მამამთავრიშვილის მოძრავი ქონებისა, რომელიც შესდგება ბინის სხვა და სხვა მოწყობილობისაგან, შეფასებულია 237.000.000 მან. და აწერილია საქართველოს კოოპერბანკის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. ტფილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა ა. წ. 18 ოქტომბრის თარიღითა და 1121 №-ით.

სასამართლოს აღმასრულებელი ლ. სვიატოდუხოვი.
(კრ. 724 1—1)

ტფ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ კვირას, ა.-წ. 4 ნოემბერს, დილის 12 საათზე, აღმასკომის ბინაზე განყოფილებისაგან

დანიშნულია შეჯიბრებითი წესით

კუკიის აგარაკში მდებარე თავისი ფარეხით საზამთრო საძოვრების სივრცით ას ოთხმოცი დესიატინისა იჯარით გაცემა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველებს შეუძლიათ მიიღონ ყოველ დღე განყოფილების კანცელარიაში, აღმასკომის შენობა, ოთახი № 31.

717—2—2 განყოფილების გამგე (ჯაფარიძე).

რვეულები

ყოველგვარი და განუსაზღვრელი რაოდენობით აქვს დამზადებული გამომცემელ ამხანაგობას

„წითელი წიგნი“

ბითუმად მყიდველთათვის

ფასები დაკლებულია

რუსთაველის პროსპ. № 8, „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციის ბინა.
(კრ. 721 2—1)

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 ნოემბერს, დღის 12 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს შენობაში, სადგურის ქუჩა № 1 (გამგეობის დარბაზში) დაბეჭდილ პაკეტების შეტანის საშუალებით

დანიშნულია კონკურენცია

ეკონომიურ სამსახურის

ავტო-ტრანსპორტისათვის გარაჟისა, კანტორისა და სახელოსნოების ასაშენებლათ.

დაბეჭდილი პაკეტები, ფასების აღნიშვნით ჩერვონცების მანეთებში, გამოგზავნილ უნდა იქნეს ფოსტით, ანდა შეტანილ იქნეს სამმართველოში, ან ჩაშვებულ უნდა იქნეს კონკურენციის პაკეტების ყუთში ზემოაღნიშნულ ვადამდის; ყუთი მოთავსებულია ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს საშუალო სართულის კიბის ბაქანზე.

დაწვრილებით განცხადებასთან და სამუშაოს წარმოების პირობებთან გაცნობა შეიძლება მეცადინეობის დროს ეკონომიურ სამსახურში (ამიერ-კავკასიის რკინისგზათა სამმართველოს შენობა) და გზის სამსახურში (ელისაბედის ქ. № 73) ინჟენერ ნ. ა. მადატოვთან.

კრ. 722 2—1

შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისია

ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოდ, რომ

ფირმა **„სოსიფროსის“** ფირმა

ქ. ბათუმის და ტფილისის მოსამსახურეთა ჯამაგირით დასაკმაყოფილებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობით გასასყიდათ

ფირმა „სოსიფროსის“ კუთვნილი და ტფილისის საბაჟოს საწყობებში დაწყობილი შემდეგი საგნები:

1. ელექტრონის ლამპები 110, 120, 229 ვოლტ. რიცხვით . . . . . 21.910 ცალი
2. გრუზოშინები: 34-5 . . . 12 „
„ „ 38-5 . . . 14 „
3. მაფი . . . . . 12.000 კოჭი
4. ფოლადი ინსტრუმენტებისათვის . 750 ფუთი

ყველა დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომლებიც მოისურვებენ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, უნდა გამოცხადდენ მიმდინარე წლის 8 ნოემბერს, დღის 12 საათზე ტფ. საბაჟოს ეზოში.

(კრ. 723 3—1) კომისია.

ტფ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ კვირას, ა. წ. 4 ნოემბერს, დილის 12 საათზე, აღმასკომის ბინაზე განყოფილებისაგან დანიშნულია შეჯიბრებითი წესით ქალ. ტფილისში მდებარე

ბაღების საჯარო ვაჭრობის იჯარით გაცემა.

1. ყოფილი მილოვის, დიდი და პატარა
2. „ ავეტისოვის — — ნავთლუღში
3. „ ჩემოდანოვის — —
4. „ ფონდოევის და ყაითმაზოვის ვერაზე
5. „ ლვამიჩავას და ბერელაშვილის დიდუბეში
6. „ გაბაევის — — პლეხანოვის პრ. № 155.
7. „ რიჩის — — „ „ № 115.
8. „ დადაევის— — — „ „ № 138.

ამა თუ იმ ბაღის იჯარით ამღები პირი წინასწარ სდებს განყოფილებაში საწინდროს 50.000.000 მან., დანარჩენი დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველებს შეუძლიან მიიღონ ყოველივე განყოფილების კანცელარიაში (აღმასკომის შენობა, ოთახი № 31).

განყოფილების გამგე: ა ჯაფარიძე.
716—2—2 კანცელარიის გამგე: (ხელს აწერს).

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ ბედევანიშვილის სახელობისა

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მკურნალობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, გორდანოვის ქ. № 20. (1252—25—24)

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის

გ. დ. ხანცინის

მედიცინის ექიმის **ვ. ვ. შენგელიძის**

მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან 4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტერნის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18-14. (46—25—16)

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა

ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
78 25—8

დაიკარგა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 78 მარიამ ივანეს მაჭავარიანის ასულის სახელზე მოცემული სამთო-მადნო პროფკავშირისაგან. ჩაითვალოს გაუქმებულად. (105 1—1)

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.